დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრები:

ანა კვიჟინაძე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ნათია დარსაძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ზაზა მანია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიო მურუსიძე უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნატო შაინიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მაია სიხარულიძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ია სეხნიაშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
თეონა აბრამიშვილი მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
საბა დარსაველიძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
მაკა ნატროშვილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226563322

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	სამგორის რაიონი სოფ.წინუბანი. მშვიდობის ქუჩა N42
საფოსტო ინდექსი	0195
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tinyurl.cx/EqGlP
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi219@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577747999

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	19/02/2026 წ. MES 9 26 0000185994
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24,25 მარტი. 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი, მშვიდობის ქუჩა N42. 1 შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი, მშვიდობის ქუჩა N42. 1 შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი, მშვიდობის ქუჩა N42. 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 და 25 მარტს. ვიზიტის მიზანი იყო ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის დროს ადგილზე იმყოფებოდა ორი ექსპერტი, ხოლო საგნობრივი მიმართულების ექსპერტებმა სკოლის შეფასება განახორციელეს დისტანციურად.

ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც სკოლის შიდამარეგულირებელი დოკუმენტაცია, ასევე განხორციელდა მიმდინარე პროცესების ანალიზი. კერძოდ, შეფასდა სკოლის ფილოსოფია, დაგეგმვისა და განვითარების მიმართულებები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემები და სამივე საფეხურზე კურიკულუმების შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის მექანიზმები.

ვიზიტი წარიმართა მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში. სკოლამ ითანამშრომლა ექსპერტებთან, იყო კეთილგანწყობილი და მზადყოფნას გამოხატავდა პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის. ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია მოწოდებულ იქნა დროულად და სრულყოფილად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
	317	400

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6	☒ შეესაბამება

საინფორმაციო რესურსები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	☒	

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის მარტი-სექტემბერი) სკოლამ უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადაში (2026 წლის აპრილი-2028 წლის აპრილამდე) სკოლამ უზრუნველყოს ლიფტის ან პანდუსის მოწყობა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (საბაზო საშუალო საფეხური) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (2026 წლის აპრილი-დეკემბერი) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი *N1.2.2.2*	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო	სასურველია სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასების მიზნით შეიმუშაოს უფრო მიზნობრივი, სამოქმედო/სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ აქტივობების შეფასებაზე ორიენტირებული ინსტრუმენტები (კითხვარები). მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირის შეგროვება განხორციელდეს არა მხოლოდ მშობლებში, არამედ მთლიან სასკოლო საზოგადოებაში და,

	საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	შესაძლებლობის ფარგლებში, სხვა დაინტერესებულ მხარეებთანაც. ასევე, მიზანშეწონილია გამოკითხვის შედეგების სისტემური ანალიზი და მიღებულ მონაცემებზე დაფუძნებით რეკომენდაციების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებას ახალ სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი *N3..1.2.1.*	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია გადაიხედოს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მოქმედ ნორმატიულ აქტებთან
ინდიკატორი *N3.1.2.3.*	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სასურველია გაწეროს სხვა კატეგორიის პერსონალის (არა მასწავლებლის) დასაქმების წესი.
ინდიკატორი *N3.4.1.6.*	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	• სასურველია სკოლამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ბრძანების გამოცემიდან 10 დღის ვადაში • სასურველია მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ამოიღოს პერსონალურ მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობის მოპოვების მუხლი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი *N4.2.1.3*	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას	• სასურველია, რომ სკოლამ რემედიაციის პროგრამა აამოქმედოს და შემუშავებული რეგულაციების მიხედვით სრულყოს, დოკუმენტურად

	აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	გაწეროს მის მიერ განხორციელებული სამუშაო (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა).
ინდიკატორი *N4.2.1.6.*	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	• სასურველია, მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, უკუკავშირის მისაღებად, სკოლამ ჩაატაროს სისტემატიზირებული ანონიმური გამოკითხვა.
ინდიკატორი *N4.2.2.3.*	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მიიღებს შეფასებას გაწეული მომსახურების შესახებ.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** დაწყებით საფეხურზე, კერძოდ „მე და საზოგადოების“ მე-3 კლასის კურიკულუმში, აუცილებელია თითოეული თემა მოიცავდეს ყველა სამიზნე ცნებას, ხოლო მე-4 კლასსა და „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასში სამიზნე ცნებები უნდა გადანაწილდეს საკითხების კლასტერებზე. საბაზო საფეხურზე, მე-8 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმს უნდა დაემატოს გამოტოვებული თემა „კავკასია“. ყველა კლასის გეოგრაფიის კურიკულუმის თავფურცლიდან უნდა ამოიჭრას ცნება „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“, რადგან იგი აღარ ფიგურირებს სტანდარტში. ანალოგიურად, მოქალაქეობის სტანდარტის შედეგებიდან უნდა ამოიღოთ ცნებები „სოციალიზაცია“ და „ინიციატივა და მეწარმეობა“. საშუალო საფეხურზე, მე-11 კლასის ისტორიის, მე-11 და მე-12 კლასების საქართველოს ისტორიისა და მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები უნდა გადანაწილდეს საკითხების კლასტერებზე. ისტორიის მე-12 კლასის

		კურიკულუმში ასახეთ სტანდარტით გათვალისწინებული თემები: „ხანმოკლე XX საუკუნე“ და „მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე“.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დაიხვეწონ ბუნებისმეტყველების III, IV კლასების კურიკულუმები. კერძოდ მკაფიოდ გაწერონ თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ***საზოგადობრივი მეცნიერებები*** სასურველია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მე-6 კლასის „ჩვენი საქართველოს“ და მე-11 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში მიეთითოს შემოქმედებითი ბუნების დავალება. მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში სრულად ჩაწერონ შემოქმედებითი დავალების სახელწოდება („თვითმმართველობა“), ხოლო მე-9 კლასში დააზუსტონ შემოქმედებითი დავალების კონკრეტული პროდუქტი. მე-11 და მე-12 კლასების გეოგრაფიის კურიკულუმებში, შესაბამისი თემების გასწვრივ,მიეთითოს ძირითადი კონტექსტ-მაგალითი და შემოქმედებითი დავალება. ***სახელმწიფო ენა*** სასურველია თითოეულ საფეხურზე განხორციელებული საგნობრივი პროექტები ჩაიწეროს სათანადო თემასთან, რათა იქცეს კურიკულუმის ნაწილად. **დაწყებითი საფეხური** სასურველია თითოეულ თემაში დამუშავდეს სდანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები. კერძოდ, პირველი კლასის ქართული ენის წინასაანბანო პერიოდში დამუშვდეს ცნება: წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა, მე-2, მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში - სამივე სამიზნე ცნება.
ინდიკატორი *N2.1.2.3*	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური სასურველია საგნობრივი კურიკულუმები გაამდიდრონ დამატებით რესურსებით.

	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** სასურველია სასწავლო რესურსების სვეტი სრულად შეივსოს ყველა საგნის კურიკულუმში. მე-7 კლასის ისტორიაში ზოგადი დასახელებების (YouTube, Google) ნაცვლად მიეთითოს კონკრეტული წყაროები. მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში რესურსების ლინკებს დაერთოს შინაარსობრივი აღწერილობა. მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში დაემატოს ელექტრონული რესურსი. გეოგრაფიის მე-8 კლასის (სამხრეთ ამერიკა, ევროპა) და მე-9 კლასის თემებში სრულად შეაივსოს რესურსების ველი. მე-11 კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში გასწორდეს სახელმძღვანელოს გვერდების ნუმერაცია წიგნის რეალური მოცულობის (176 გვერდი) შესაბამისად.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**მათემატიკა** სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვის. ***სპორტი*** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო თემისათვის. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური **სასურველია ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.**
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**სახელმწიფო ენა** სასურველია სახელმწიფო ენის კათედრის მიერ ინიცირებული და განხორციელებული პროექტები, კვირეულები, კიდევ უფრო დაიხვეწოს, რათა იქცეს სასკოლო კურიკულუმის მნიშვნელოვან ნაწილად.

ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***სახელმწიფო ენა*** სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელი ან შემოქმედებითი დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებს კათედრა შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნის უფრო მეტ, კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ, შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**სახელმწიფო ენა** სახემწიფო ენის კათედრას აქვს გამოცდილება, თავად შექმნას სასწავლო ტესტები და საგანმანათლებლო რესურსები. სასურველია, ამ მიმართლებით განვითარება და კათედრაზე სასწავლო რესურსების საცავის შექმნა, რათა ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლამ, 24/04/2026 წლის MES 2 26 0000475742 წერილით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოადგინა არგუმენტირებული წერილობითი პოზიცია რომელიც სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 27/04/2026 წლის MES 7 26 0000486088 წერილით ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა განსახილველად. წერილში დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტირებული მტკიცებულებები და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, გააანალიზა წარმოდგენილი მტკიცებულებები, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და გაიზიარა სკოლის პოზიცია. შედეგად, ინდიკატორებთან 1.1.1.3; 1.2.1.2; 1.2.1.3; 3.2.1.2 და 3.4.1.1. მიმართებით ინდიკატორების შეფასება „არ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს“ შეიცვალა შეფასებით „აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს“, 3.1.2.4 ინდიკატორის შეფასება „არ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას“ , ხოლო 3.5.1.4. ინდიკატორის შეფასება შეიცვალა შეფასებით „ნაწილობრივ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას“.

წილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია - ინკლუზიურ და პოზიტიურ გარემოში მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარება და მათთვის ხარისხიანი განათლების მიცემა და ხედვა - სკოლა იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე, წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში შინაარსობრივად თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. კერძოდ, ინკლუზიური და პოზიტიური გარემო ხელს უწყობს ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების მიღებასა და დაფასებას. ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტაცია ქმნის სივრცეს, სადაც თითოეული მოსწავლე აცნობიერებს როგორც ეროვნულ, ისე ზოგადსაკაცობრიო კულტურულ ღირებულებებს. ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარება და ხარისხიანი განათლება ამზადებს მოსწავლეს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მისაღებად. სკოლის ხედვაში გაჟღერებული ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის მიზანი აყალიბებს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქეს. ხარისხიან განათლებაზე ორიენტაცია და ეროვნული იდენტობის პატივისცემა უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის, ისტორიისა და კულტურის ცოდნასა და გააზრებას, თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბება გულისხმობს დემოკრატიული პრინციპების, სამართლიანობისა და ტოლერანტობის აღიარებას. მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერის იდეა პირდაპირ უკავშირდება პროგრესულ სიახლეთა მიღებას, სისტემურ ცოდნასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.**სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა მკაფიოდ და თანმიმდევრულად განსაზღვრავს სკოლას, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო, ინკლუზიური და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ ინსტიტუციას. ინკლუზიურ და პოზიტიურ გარემოზე აქცენტი ცხადყოფს, რომ სკოლა ზრუნავს თითოეული მოსწავლის ემოციურ, სოციალურ და აკადემიურ კეთილდღეობაზე, უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს, სადაც დაცულია, თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა. ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და ქმნის პირობებს მათი

პოტენციალის მაქსიმალური რეალიზებისთვის. ხედვაში გამოხატული მისწრაფება - იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა, სკოლას წარმოაჩენს, როგორც დინამიურ საგანმანათლებლო და კულტურულ სივრცეს, რომელიც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა ხაზს უსვამს სკოლის როლს არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემაში, არამედ სამოქალაქო, სოციალური და კულტურული პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების აღზრდაში. ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის მისწრაფება კიდევ უფრო ამყარებს სკოლის პოზიციას, როგორც აქტიურ სოციო-კულტურულ ინსტიტუციას, რომელიც ქმნის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ღირებულებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლამ 2023 წელს იმუშავა სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტზე. დოკუმენტზე მუშაობდნენ კათედრების წარმომადგენლები. თუმცა შესაბამისი მტკიცებულება სკოლამ ვერ წარმოადგინა. სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლები, მოსწავლეები) ინტერვიუს ფარგლებში ასევე არ დადასტურდა სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა სკოლის მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავების პროცესში.

ხარვეზი. **სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავება არ დასტურდება**

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის სხდომის ოქმი N2 (17/04/2026 წ.), რომლითაც დასტურდება, რომ განხორციელდა სკოლის ფილოსოფიასა და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების ინიცირება. ამავე ჯგუფის N3 (20/04/2026 წ.) სხდომაზე წარმოდგენილი იქნა სკოლის ფილოსოფიის პროექტი, რომელიც სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მისაღებად გაზიარდა როგორც სკოლის დახურულ მესენჯერჯგუფებში, ასევე სკოლის ფეისბუქგვერდზე. ამასთან, ჯგუფის N5 (22/04/2026 წ.) სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) საბოლოო ვარიანტი. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფიის საბოლოო სახით ფორმირების პროცესში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება. ამასთან დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან და შესაბამისად არ იცვლება 1.1.1.4 ინდიკატორის შეფასება. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის ფილოსოფიამ რეალურად ცვლილება არ განიცადა ასევე 1.1.1.1 და 1.1.1.2 ინდიკატორების შეფასება ძალაში რჩება.

სკოლის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისიწინების საფუძველზე 1.1.1.3.ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“. აღნიშნულმა ცვლილებამ განაპირობა ასევე კომპონენტის დადებითად შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, წარმოდგენილია 2023 წლის 7 სექტემბრის კრების ოქმი, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფიის პროექტი განხილული და გაზიარებულ იქნა მოსწავლეთა მშობლებთან. ასევე წარმოდგენილია პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6 (08/09/2023 წ), რომლის მიხედვითაც, დღის წესრიგის მე-5 საკითხად განხილულია სკოლის ფილოსოფია. დადგენილების ნაწილში აღნიშნულია, რომ პედაგოგიურმა საბჭომ გაიზიარა სკოლის მიერ წარდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები. მოსწავლეებთან აღნიშნული საკითხების გაზიარების დასტურად სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა კრების ოქმი, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფია განხილულ იქნა მოსწავლეებთანაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის ატვირთულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე https://tinyurl.cx/EqGlP.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება „სსიპ - ქალაქ თბილისის N219 საჯარო სკოლა“ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023 წლის 7 სექტემბრის მშობელთა კრების ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული დეგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ დირექტორი ქმნის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფს, რომლის წევრებადაც განისაზღვრებიან: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობლების, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლები. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ვალდებულებად კი განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება, პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის/თემისთვის, მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა, სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და სამეურვეო საბჭოსთან წარდგენა დასამტკიცებლად. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მრავალფეროვანი შემადგენლობა ქმნის საფუძველს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის პრიორიტეტები და ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის 7 წლიანი და მოიცავს 2023-2030 წლების პერიოდს. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს (სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 დეკემბრის სხდომის ოქმი N8) მიერ. ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიეკუთვნება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების რიცხვს, რომელიც ხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ. ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული

გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში. აღნიშნული ჩანაწერი უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ციკლურ ბუნებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 4 სტრატეგიულ მიმართულებას: სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება; ავტორიზაცია/აკრედიტაციის გავლა; სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებების ხელშეწყობა და სკოლის ორგანიზაციული განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიმართულება ჩაშლილია სტრატეგიულ მიზნებში (ჯამში 11 სტრატეგიული მიზანი). ეს მიზნებია: **1. სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენა ხდება განვლილი წლის ანალიზის საფუძველზე და განახლდება არსებული გამოწვევების საპასუხოდ.** 2.სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით. 3. პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა. 4. განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული თვითშეფასების სტანდარტის შესაბამისად, სკოლის თვითშეფასების საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების იდენტიფიცირება და სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა. 5. სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება. 6. სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება 7. სასწავლო პროცესის მართვა. 8. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოვლწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება/განვითარება. 9. ადამიანური რესურსების მართვა. 10. ანგარიშვალდებულების წარმოება ხარისხიანად წინასწარ დადგენილ ვადებში. 11. მატერიალური რესურსების მართვა. თითოეული მიზანი ჩაშლილია ამოცანებსა და ქვეამოცანებში (მაგ. 1.1.1. სასკოლო სასწავლო გეგმა უპასუხებს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა საჭიროებებს, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს და საშუალებას მისცემს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები; 1.1.1.1. სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას ექნება სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; და ა.შ.). წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ დოკუმენტი სტრუქტურულად გამართულია და მოიცავს სტრატეგიული მიმართულებების, მიზნებისა და ამოცანების/ქვეამოცანების იერარქიულ განაწილებას. ამასთან, სტრატეგიული მიზნების ფორმულირების ნაწილში აღსანიშნავია, რომ მაგ.,პირველი სტრატეგიული მიზანი აღწერს სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესს/როგორ უნდა შემუშავდეს გეგმა, უფრო ოპერაციული/წლიური დაგეგმვის ლოგიკას ავითარებს, ის სავალდებულო რეგულაციურ მოთხოვნას უფრო შეესაბამება და არა სამომავლო შედეგზე ორიენტირებულ სტრატეგიულ მიზანს.

გარდა ამისა, სკოლის ფილოსოფიასა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს 4–6 მსხვილ მიზანს, შესაბამის ამოცანებთან ერთად. თუმცა, წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია 11 სტრატეგიული მიზანი, რაც არ არის თანხვედრაში აღნიშნულ მიდგომასთან. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია 2023 წელს, ხოლო სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი 2025 წლის დეკემბერში, რაც ნაწილობრივ განმარტავს არსებულ შეუსაბამობებს.

ხარვეზი. სტრატეგიული გეგმა არ შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის სხდომის ოქმი N2 (17/04/2026 წ.), რომლითაც დასტურდება სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების ინიცირება. ამავე ჯგუფის N4 (21/04/2026 წ.) სხდომაზე განხილულ იქნა როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმის, ისე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გადახედვისა და მათში ცვლილებების შეტანის საკითხი. აღნიშნული პროცესის შედეგად შემუშავდა სტრატეგიული განვითარების გეგმის კორექტირებული ვერსია და გადაიხედა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით, განახლებული დოკუმენტები გაზიარდა სკოლის დახურულ მესენჯერჯგუფებში. შემდგომში კორექტირებული სტრატეგიული განვითარების გეგმა წარედგინა სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. სამეურვეო საბჭომ სტრატეგიული განვითარების გეგმა დაამტკიცა N8 სხდომაზე (23/04/2026 წ., ოქმი N8).

წარმოდგენილი კორექტირებული სტრატეგიული განვითარების გეგმა შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასება „არ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს“ შეცვალა შეფასებით „აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს“.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული 2025 წლის 8 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N2 სხდომაზე). წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზით იკვეთება, რომ სამოქმედო გეგმა ძირითადად ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ორიენტირებულია მასში განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელებაზე. ამასთან, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, რაც მიუთითებს თვითშეფასების ელემენტების გამოყენებაზე დაგეგმვის პროცესში. ამასთანავე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესში დადგინდა, რომ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არსებულ მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებას, მაგალითად, სტრატეგიულ გეგმაში მიმართულება N3 „სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებების ხელშეწყობა“, რომელიც თავის მხრივ ჩაშლილია 3 სტრატეგიულ მიზნად: 1. სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება, 2. სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება, 3. სასწავლო პროცესის მართვა, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია როგორც სტრატეგიული მიზანი „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“ და ამ მიზნის შესაბამისი ამოცანები მაგ. ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა ან თუნდაც სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა (ეს უკანასკნელი ამოცანა სტრატეგიული მიზნის ფორმულირებას იმეორებს) არ არის განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის შესაბამისი მიმართულების სტრატეგიული მიზნის ამოცანებში. ამრიგად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ფორმალურად ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ითვალისწინებს თვითშეფასების/მონიტორინგის შედეგებს, თუმცა სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებს შორის არსებული შეუსაბამობები მიუთითებს დაგეგმვის პროცესის არასრულ თანხვედრაზე.

ხარვეზი. ერთწლიან გეგმაში განსაზღვრული მიზნები და ამოცანები არ არის სრულად შესაბამისობაში სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო კორექტირებული სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ განვითარების გეგმას. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ ინდიკატორის დასკვნის პროექტში არსებული შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული" შეიცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია"

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დოკუმენტში განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესრულების ვადები. ასევე, წარმოდგენილია შესრულების ინდიკატორები, რაც მიუთითებს დაგეგმვის პროცესის სტრუქტურირებულობაზე. აქტივობები ძირითადად დაკავშირებულია სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებთან და ემსახურება მათ შესრულებას. თუმცა რიგ შემთხვევებში კავშირი არ არის სრულად თანმიმდევრული (იხ. ინდიკატორი 1.2.1.3)

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 23 დეკემბრის ბრძანება N2-115 სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას, ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, განსაზღვრული აქვს ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს: სამოქმედო გეგმის შესრულების წლიურ ანგარიშგებას, სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედურ (ყოველ 3 წელიწადში) შეფასებას, სტრატეგიული გეგმის ციკლის დასრულების (7 წლის შემდეგ) შემდეგ.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, სკოლა მას ახორციელებს წელიწადში ერთხელ - ივნისში და ინსტრუმენტებად განსაზღვრულია მონაცემების შეგროვება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა.

გაცემული იქნა **რჩევა სასურველია სკოლამ გადახედოს ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არსებულ ჩანაწერს სტრატეგიული გეგმის საბოლოო შეფასების ვადებთან დაკავშირებით და ისე დააკორექტიროს, რომ საჭიროების შემთხვევაში ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში გამოიყენოს სტრატეგიული გეგმის შეფასების შედეგები.**

არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო 2026 წლის 17 აპრილის ბრძანება N2-38, რომლის თანახმადაც ცვლილება შევიდა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში და განისაზღვრა, რომ სტრატეგიული გეგმის საბოლოო შეფასება განხორციელდება ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2025 წლის 23 დეკემბერს (ბრძანება N2-115), წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში კი მოიცავს 2024-2025 სასწავლო წელს. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი **სრულად** არ არის განხორციელებული სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ვინაიდან მეთოდოლოგიის დამტკიცება განხორციელდა ანგარიშგების პერიოდის შემდგომ. თუმცა, წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტი ასახავს სკოლის პრაქტიკასაც მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიში იმ ფორმატშია, რასაც ითვალისწინებს დაგეგმვის მეთოდოლოგია. სკოლის მიერ ასევე განხორციელებულია მშობელთა გამოკითხვა, რაც წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მცდელობას სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესში. თუმცა, გამოკითხვა ატარებს ზოგად ხასიათს და ნაკლებად არის ორიენტირებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შეფასებაზე. ამასთან, არ იკვეთება სასკოლო საზოგადოების სხვა ჯგუფებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების სისტემური უკუკავშირის გამოყენება. ანგარიშის მომზადების პროცესში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშები, რაც მიუთითებს შიდა შეფასების გარკვეული მექანიზმების გამოყენებაზე.

სკოლას მიეცა რჩევა, სასურველია სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასების მიზნით შეიმუშაოს უფრო მიზნობრივი, სამოქმედო/სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ აქტივობების შეფასებაზე ორიენტირებული ინსტრუმენტები (კითხვარები). მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირის შეგროვება განხორციელდეს არა მხოლოდ მშობლებში, არამედ მთლიან სასკოლო საზოგადოებაში და, შესაძლებლობის ფარგლებში, სხვა დაინტერესებულ მხარეებთანაც. ასევე, მიზანშეწონილია გამოკითხვის შედეგების სისტემური ანალიზი და მიღებულ მონაცემებზე დაფუძნებით რეკომენდაციების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებას ახალ სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები გასაჯაროებულია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის, კერძოდ აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

.

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშისა და 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლის მიერ შესრულების შედეგები გამოიყენება შემდგომი დაგეგმვის პროცესში. კერძოდ, ახალ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია ის აქტივობები, რომლებიც მონიტორინგის ანგარიშში შეფასებულია როგორც „ნაწილობრივ შესრულებული“, რაც მიუთითებს, რომ სკოლა რეაგირებს გამოვლენილ გამოწვევებზე და გეგმავს მათი გაუმჯობესებას. ამასთან, სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა ყურადღებას ამახვილებს უკვე შესრულებული აქტივობების ხარისხის შენარჩუნებასა და შემდგომ გაუმჯობესებაზე, რაც ასევე მიუთითებს შედეგებზე დაფუძნებული განვითარების პრაქტიკის არსებობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 23 დეკემბრის ბრძანება N2-115 სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე;
- 2023 წლის 6 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N8 სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის წარდგენა დამტკიცების თაობაზე;

- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში.
- მშობელთა გამოკითხვის შედეგები;
- სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები;
- სკოლის ვებგვერდი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ოქმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება (ორგანიგრამა), რომელიც მკაფიოდ ასახავს დაწესებულებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებსა და პოზიციებს, მათ შორის ურთიერთდაქვემდებარებას, პასუხისმგებლობათა გადანაწილებასა და ანგარიშვალდებულების სისტემას. აღნიშნული ხელს უწყობს თითოეული პოზიციის როლისა და ფუნქციის სწორ განსაზღვრას, თანამშრომლებს შორის ეფექტიან კომუნიკაციასა და კოორდინაციას. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები შესაბამისობაშია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით განსაზღვრულ სკოლის სტრუქტურასთან. სკოლის საშტატო განრიგი განსაზღვრავს თითოეული პოზიციის რაოდენობას, დასახელებას.

საშტატო განრიგი უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მიზნობრივ და რაციონალურ განაწილებას, ასევე ფუნქციების დუბლირების თავიდან აცილებას. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება მათთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით, რაც დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგადაც დადასტურდა. ამასთანავე, სკოლაში შემუშავებულია ცალკეული სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, დამრიგებელი, ბიბლიოთეკა, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა) დებულებები, რომლებიც არეგულირებს მათი საქმიანობის წესს. სტრუქტურული ერთეულების დებულება ასევე განსაზღვრავს პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციისა და დირექტორის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, მათ შორის მათი არჩევის წესს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და შესაბამისი დებულებებით მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო და მიზნობრივი განაწილება ეფუძნება სკოლის ორგანიზაციულ სტრუქტურას (ორგანიგრამას) და საშტატო განრიგს. ორგანიგრამა განსაზღვრავს მმართველობით და საგანმანათლებლო რგოლებს შორის ურთიერთდაქვემდებარებასა და კოორდინაციის მექანიზმებს, ხოლო საშტატო განრიგი უზრუნველყოფს შესაბამისი რესურსის არსებობას დაგეგმილი საქმიანობების განსახორციელებლად. კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების ვალდებულებები და პასუხისმგებლობის სფეროები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებებით, ხოლო ცალკეულ პოზიციებზე დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. აღნიშნული უზრუნველყოფს ფუნქციების მკაფიო გამიჯვნასა და პასუხისმგებლობების სწორ განაწილებას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, მოიცავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების აქტივობებს, ადამიანური რესურსის განვითარებას, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. თითოეული აქტივობის შესრულებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული (დირექცია, საგნობრივი კათედრები, დამრიგებლები და სხვ.), აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლას გააჩნია საკმარისი და მიზნობრივად გადანაწილებული ადამიანური რესურსი, რაც ხელს უწყობს პროცესების ეფექტიან მართვასა და დაგეგმილი აქტივობების სრულყოფილ განხორციელებას. სკოლაში საჭიროების შემთხვევაში იქმნება დროებითი კომისიები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით. აღნიშნული უზრუნველყოფს ამოცანების მიზნობრივ და დროულ შესრულებას. ამასთანავე, თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია საკუთარი სამოქმედო გეგმა, რაც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას, ხოლო ერთობლიობაში ქმნის სკოლაში მიმდინარე მმართველობითი, საგანმანათლებლო და დამხმარე პროცესების ეფექტიანი მართვის საფუძველს. ამრიგად, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სკოლაში უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების სრულყოფილად განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიგრამა;
- საშტატო განრიგის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან 10/11/2025 წლის შეთანხმების წერილი MES 8 25 0001574054;
- ბრძანება N2-125 (24.12.2025 წ) დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N2-127 (24 დეკემბერი, 2025 წ) კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N2-119 (23 დეკემბერი, 2025 წ) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის (დებულება);
- ბრძანება N2-124 (24 დეკემბერი, 2025 წ) მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძნება N2-4 (12 იანვარი, 2026 წ) სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ;
- შინაგანაწესი ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოამი N2 (08.09.2025წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე);
- კათედრების სამუშაო გეგმები;
- პედსაბჭოს სამოქმედო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის დირექციის განმარტებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი) და სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების (შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა) შესაბამისად.
სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება უსაფრთხოების, სასწავლო პროცესისა და შრომითი ურთიერთობების ძირითადი საკითხები, მათ შორის: სამუშაო დროის ორგანიზება, დასვენების და შვებულების პირობები, შრომის ანაზღაურების გაცემის წესი, შრომითი ურთიერთობების წარმოშობა და შეწყვეტა, დისციპლინური ნორმები, ასევე დასაქმებულთა, მოსწავლეთა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პასუხისმგებლობები. აღნიშნული ნორმების გაცნობა და დაცვა სავალდებულოა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 დეკემბრის N8 სხდომაზე) რეგულირდება კადრების მოზიდვისა და შერჩევის, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის, შესრულებული სამუშაოს შეფასების, პროფესიული და კარიერული განვითარების, მოტივაციისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხები. ის პერსონალის მართვას განიხილავს როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, კადრების მოზიდვასა და შერჩევას, სამუშაოს მართვას და ორგანიზაციიდან გასვლას. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ თითოეული პოზიციისთვის უნდა არსებობდეს სამუშაოს აღწერილობა. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იყო 2026 წლის 25 მარტის N2-28 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „თანამდებობრივი სამუშაოს აღწერილობა“, რომელიც მოიცავს თითოეული პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დასაქმებულებთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის განხილვისას, გამოიკვეთა, რომ ის შეიცავს ჩანაწერს („საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანება), რომელიც აღარ შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო ნორმას.

ამრიგად, წარმოდგენილი შიდამარეგულირებელი ნორმების ანალიზის, მასწავლებელთა დასაქმების საკონკურსო მასალების და გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის გზით, ვაკანსიების გამოქვეყნებით პლატფორმაზე teacherjobs.ge. საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების და მასწავლებელთა შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი რეგულაციებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმით'' და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით'').

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია გადაიხედოს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მოქმედ ნორმატიულ აქტებთან

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად უფლებას იტოვებს გამოაცხადოს კონკურსი მასწავლებლის პოზიციაზე იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ კონკურსის დასრულების მომენტისათვის გახდება ვაკანტური, იმავე დოკუმენტით სკოლა იღებს ვალდებულებას მოახდინოს პერსონალის შეფასება მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად და შედეგების საფუძველზე დაგეგმოს პერსონალის განვითარება. პერსონალის პერიოდული შეფასება სკოლას აძლევს შესაძლებლობას დროულად გამოავლინოს თანამშრომელთა ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმოს საჭიროებას მორგებული პროფესიული განვითარების აქტივობები ან ინდივიდუალური მხარდაჭერის ღონისძიებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პოტენციური პრობლემების ადრეულ

ეტაპზე იდენტიფიცირებასა და მათ პრევენციას, ზრდის თანამშრომელთა პროფესიულ კომპეტენციებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან და სტაბილურ წარმართვას. ამგვარად, თანამშრომელთა ადაპტაცია, შეფასება და პროფესიული განვითარების მიზნობრივი დაგეგმვა სკოლაში მოქმედებს როგორც პრევენციული მექანიზმი, რომელიც ამცირებს რისკებს და ხელს უწყობს ორგანიზაციული პროცესების ეფექტიან მართვას. ახალ თანამშრომელთა ადაპტაციის პროცესი კი თავის მხრივ უზრუნველყოფს დასაქმებულისათვის სკოლაში არსებული რეგულაციების, სამუშაო პროცედურებისა და პროფესიული პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რაც თავიდანვე ამცირებს გაუგებრობებისა და შესაძლო პროფესიული ხარვეზების წარმოშობის რისკს.

სკოლაში პერსონალის მართვა ეფუძნება ინტერვენციულ მიდგომას, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის უზრუნველსაყოფად სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას. კერძოდ, დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლის მიერ სამსახურის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფს მყისიერ რეაგირებას და ახორციელებს საათების ოპერატიულ გადანაწილებას შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, რათა სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს. ასევე, ადმინისტრაციის ან დირექციის წევრის დროებითი არყოფნის შემთხვევაში, მათი ფუნქციები წინასწარ განსაზღვრული პასუხისმგებლობების შესაბამისად ნაწილდება ადმინისტრაციული გუნდის სხვა წევრებს შორის. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესით მკაფიოდ განსაზღვრულია დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის ძირითადი პირობები, მათ შორის:

- სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო;
- შრომითი ურთიერთობის წარმოშობა;
- შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პროცედურები და საბოლოო ანგარიშსწორების წესი;
- დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები;
- შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები;
- განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

სკოლის ზემოაღნიშნული პრაქტიკა და შიდამარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების უწყვეტობას, პასუხისმგებლობების ეფექტიან გადანაწილებას და შესაძლო რისკების დროულ მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა დასაქმების საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსები ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კონკრეტული ვაკანტური

პოზიციისთვის განსაზღვრული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება სკოლის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით და საჯაროდ ქვეყნდება teacherjobs.ge პლატფორმაზე. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და თანაბარ შესაძლებლობებს ყველა დაინტერესებული კანდიდატისთვის. სკოლა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისი ნორმებით. რაც შეეხება სხვა კატეგორიის პერსონალს, მათი შერჩევა ხორციელდება ძირითადად - გასაუბრების გზით, სკოლის დირექტორის მიერ. ამასთან, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი სამუშაოს აღწერილობა სადაც განსაზღვრულია თითოეული პოზიციისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ხელს უწყობს შესაბამისი კადრების მიზნობრივ შერჩევას.

დასაქმებულთა პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ თითოეული მასწავლებლის პირად საქმეში წარმოდგენილია ნასამართლეობის შესახებ ცნობა, ხოლო 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ თანამშრომელთა შემთხვევაში - ასევე ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლებების ჩამორთმევის შესახებ, რაც უზრუნველყოფს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობას და უსაფრთხო გარემოს დაცვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოქმედი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია გაწეროს სხვა კატეგორიის პერსონალის (არა მასწავლებლის) დასაქმების წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 44 თანამშრომელი, მათგან მასწავლებელია 28 (18 უფროსი, 8 წამყვანი, 1 მენტორი, 1 უფროსი სპეციალური მასწავლებელი. ასევე, ადმინისტრაციულ და შტატგარეშე პოზიციებზე დასაქმებულია დირექტორი (1), დირექტორის მოადგილე (1), ბუღალტერი (1), საქმისმწარმოებელი (1), მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი (1), ბიბლიოთეკარი (1), სსსმ პირის ასისტენტი (2), ფსიქოლოგი (1), დარაჯი (2), დამლაგებელი (3), ცეცხლფარეში (1) ექიმი (1) დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ ყველა დასაქმებულის კვალიფიკაცია (გარდა ექიმისა) შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ხარვეზი. სკოლის ექიმს არ გააჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23 ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.

არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლაში კვალიფიციური ექიმის დასაქმების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2026 წლის მარტი-სექტემბერი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებილი პოზიცი და გასცა რეკომენდაცია 2026 წლის მარტი-სექტემბრის პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებენ გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპით. აღნიშნული ჯგუფები რეგულარულად იკრიბებიან სხდომებზე, სადაც მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოფიციალური ოქმების სახით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. საგნობრივი კათედრების წევრები ჩართული არიან კურიკულუმების შემუშავების პროცესში, ერთად გეგმავენ საერთო საგანმანათლებლო მიზნებზე დაფუძნებულ აქტივობებს. სკოლის პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, საგნობრივ კათედრებსა და მრჩეველთა საბჭოს გააჩნიათ სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებული სამუშაო გეგმები. სხდომებზე საკითხები განიხილება წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის საფუძველზე, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით, რაც უზრუნველყოფს პროცესის დემოკრატიულობასა და გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია, რომ შესაბამის საფეხურებზე მოქმედი მოსწავლეთა თვითმმართველობა რეგულარულად იკრიბება, იღებს კოლექტიურ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევის და აქტივობების დაგეგმვის საკითხებზე. თვითმმართველობის წარმომადგენლები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მონაწილეობას სკოლაში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში და აძლიერებს დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროცესების ანალიზის საფუძველზე, დასაქმებულებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი მმართველობის, გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას და საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დირექციასთან/მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ქმედითი მექანიზმები. კერძოდ, სკოლაში

დანერგილია პროფესიული თანამშრომლობის პრაქტიკა, რაც დასტურდება კათედრის დებულებით, სადაც განსაზღვრული პედაგოგთა შორის გამოცდილების გაზიარების ფორმები და თანამშრომლობის მოდელები. პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების პროცესში, ახორციელებენ ურთიერთდასწრებებს, გეგმავენ და ატარებენ ერთობლივ გაკვეთილებს, ამავდროულად, სკოლაში დანერგილია წარმატების აღიარების მექანიზმებიც. შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულთა წახალისების სხვადასხვა ფორმა, რომელიც მოიცავს როგორც პროფესიული მიღწევების, ისე კეთილსინდისიერი და ხანგრძლივი საქმიანობის დაფასებას. წახალისების ფორმებად გამოყენებულია მადლობის გამოცხადება, სიგელით ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემია და სხვა, რაც ქმნის მოტივაციურ გარემოს და ხელს უწყობს პროფესიული წარმატების აღიარებას. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წწ) სკოლის ერთერთ აქტივობად განსაზღვრულია წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო სამუშაო შეხვედრების დამკვიდრება. დირექციასთან გასაუბრებების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ აღნიშნული მექანიზმები არ არის მხოლოდ ფორმალურად გაწერილი დოკუმენტებში, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება, რაც ზრდის მათ ეფექტიანობას. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა მადლობის გამოცხადების ბრძანება 3 მასწავლებლის შემთხვევაში, ასევე სკოლის ფოიეში მასწავლებელს გაუხსნეს ვარსკვლავი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას გააჩნია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ფუნქციონირებადი და ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიული განვითარების პროცესს და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 დეკემბრის N5 ოქმით დამტკიცებული შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 25 მარტის N7 ოქმი შინაგანაწესში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 დეკემბრის N8 ოქმით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ბრძანება N2-116 დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება. 23 დეკემბერი, 2025 წელი. ;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები;
- დასაქმებულთა ბაზები მართვის საინფორმაციო სისტემიდან;
- 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება N1-38 მასწავლებლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს მრავალმხრივ შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს როგორც თანამშრომელთა თვითშეფასებას, ასევე შეფასებას უშუალო ხელმძღვანელის მიერ და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამის ფორმებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის კომპლექსურ ანალიზს და ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებას. ამასთან, სკოლამ დამატებით წარმოადგინა თანამშრომელთა შეფასების დამტკიცებული ფორმა (დირექტორის ბრძანება N2-20, 2026 წლის 9 მარტი), რაც ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი დოკუმენტურად არის გაწერილი და ფორმალიზებული. თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა როგორც ერთ-ერთი აქტივობა განსაზღვრულია ერთწლიან სამოქმედო გეგმითაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.**პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას დოკუმენტურად გაწერილი აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმები პრაქტიკაში ჯერ არ არის ამოქმედებული. შესაბამისად, სკოლაში არ ხორციელდება პერსონალის საჭიროებების სისტემური იდენტიფიცირება, რის გამოც არ არის გამოვლენილი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პრიორიტეტები. აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმას, რომ სკოლას არ გააჩნია გამოვლენილ საჭიროებებზე დაფუძნებული, მიზნობრივი და სტრუქტურირებული პერსონალის განვითარების გეგმა.

ხარვეზი. პერსონალის განვითარების პროცესი არ ხორციელდება სისტემურად და არ ეფუძნება წინასწარ გამოვლენილ საჭიროებების საფუძველზე შემუშავებულ გეგმას.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა 09/03/2026 წლის N2-20 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის შეფასების ფორმა და 20/04/2026 წ. N2-39 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა. რომელიც ადასტურებს რომ სკოლაში დაიწყო პერსონალის შეფასებისა და გამოვლენილი საჭიროებების სისტემური იდენტიფიცირების და პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების პროცესი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა მიერ ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნები" შეიცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია"

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებითა და ცნობებით. კათედრის წევრები ახორციელებენ ურთიერთდასწრებებსა და კოლეგიალურ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. როგორც ინტერვიუს დროს განაცხადეს მასწავლებლებმა სკოლის მხარდაჭერით საქმისმწარმოებელი გახდა სპორტის მასწავლებელი, 8 უფროსი მასწავლებელი გახდა წამყვანი და 1 მასწავლებელი გახდა მენტორი. მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა, სკოლაში არსებული გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთდახმარების მექანიზმები ხელს უწყობდა მათ კარიერულ წინსვლაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. აღნიშნული პროცესი განსაზღვრულია სკოლის დოკუმენტით - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმებს. პოლიტიკის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში დასაქმებულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, რაც უზრუნველყოფილია ორგანიზაციასთან წარმატებული ადაპტაციის პროცესით და თანამშრომლის გუნდის სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებით. ახალი თანამშრომლის ადაპტაცია სკოლაში ეტაპობრივად მიმდინარეობს და მოიცავს მოლოდინების, შეხვედრის და ოჯახის წევრობის ეტაპებს. თანამშრომლის სწრაფი და ეფექტიანი ინტეგრაციის მიზნით, სკოლა აცნობს დაწესებულებაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ამასთან, ადაპტაციის პროცესის მხარდასაჭერად ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის: ახალი თანამშრომლისთვის „პირველი შეხვედრა ორგანიზაციასთან", სკოლის გარემოსა და საქმიანობის გაცნობითი აქტივობები (მაგალითად, ექსკურსია) და სხვა მხარდამჭერი ღონისძიებები. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან სწრაფ და ეფექტიან ინტეგრაციას, პროფესიული საქმიანობის წარმატებით დაწყებას და სკოლის გუნდში მისი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას. ვიზიტის პერიოდში მოხდა ახლად დასაქმებულ კადრთან გასაუბრება, რომელმაც ასევე დაადასტურა სკოლის აღნიშნული პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული ინიციატივების დაფიქსირებისა და წახალისების მექანიზმებად გამოყენებულია შემდეგი ფორმები: მადლობა, სიგელი, ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქრის გადაცემა და ერთჯერადი პრემია. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის დამატებით მოტივაციას, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, გამოიჩინონ ინიციატივა, იყვნენ აქტიურები და განახორციელონ უწყვეტი პროფესიული განვითარება. სკოლაში ჩამოყალიბებული ეს პრაქტიკა დასტურდება როგორც თანამშრომლებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს მიღებული ინფორმაციებით, ასევე დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით. ერთ ბრძანებაში დირექტორი მადლობას გამოხატავს მასწავლებლის მიმართ STEM პროექტის დაგეგმვისა და წარმატებით განხორციელებისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში — წახალისებულია მასწავლებლის მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- წარმოადგინა თანამშრომელთა შეფასების დამტკიცებული ფორმა (დირექტორის ბრძანება N2-20, 2026 წლის 9 მარტი;
- პირადი საქმეები;
- .დირექტორის ბრძანება მადლობის გამოცხადების თაობაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის საფუძველზე (2025 წლის 22 დეკემბრის ბრძანება N2-112 ცვლილება ბრძანებაში N2-30. 25 მარტი, 2026წ.), რომელიც ეფუძნება პროცესულ მიდგომას. სკოლის საქმიანობა სტრუქტურირებულია მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად, თითოეული პროცესი დოკუმენტირებულია და ხორციელდება განსაზღვრული პასუხისმგებლობებისა და პროცედურების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფა მიმდინარეობს ციკლურად და მოიცავს რისკების შეფასებას, წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებას, პროცესების შემოწმებას, დასკვნისა და რეკომენდაციების გაცემას, ასევე მათი შესრულების მონიტორინგს. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია - სკოლის დირექტორის მოადგილე. საგნმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესული მიდგომა დასტურდება სამოამედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და შედეგად ახალი ერთწლიანი გეგმის შემუშავების პროცესით, ასევე კურიკულუმის დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების რეკომენდაციების შემუშავების თანამიმდევრული პროცესის განხორციელების დამადასტურებელი მასალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები და დაჯგუფებულია მმართველობით, ძირითად და დამხმარე მიმართულებებად. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, მმართველობით პროცესებს მიეკუთვნება: სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; ძირითადი პროცესები მოიცავს: კურიკულუმის განვითარებას და სასწავლო პროცესის ორგანიზება/მართვას; სკოლის დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსებს მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კარიერული განვითარება; პროცესები აღწერილია დოკუმენტურად და მოიცავს მათ მიზნებს, ქვეპროცესებს და პასუხისმგებელ პირებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლამ წარმოადგინა შიდა აქტით დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც დეტალურად არეგულირებს დაინტერესებული პირების მიერ სკოლისთვის განცხადებითა და საჩივრით მიმართვის პროცედურებს, ასევე მათი განხილვის ეტაპებსა და ვადებს. დოკუმენტში განსაზღვრულია საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი პირები/სტრუქტურული ერთეულები და დარეგულირებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მასწავლებლის ვაკანსიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, შიდა სასკოლო გამოცდების შედეგებისა და სხვა საკითხების გასაჩივრების მექანიზმები. სკოლა თითოეულ დასაქმებულთან და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს შრომით/მომსახურების ხელშეკრულებას, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული მხარეთა უფლებები და მოვალეობები. ყველა ადმინისტრაციული აქტი მოიცავს ინფორმაციას მისი გასაჩივრების ვადასა და ადგილზე. პერსონალთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან საჩივრისა და განცხადების განხილვის არსებული სისტემის შესახებ და იცნობენ გასაჩივრების პროცედურებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულია შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. სკოლის დირექციასთან, დასაქმებულებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას შიდა რეგულაციების საფუძველზე, რაც შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები დეტალურადაა გაწერილი მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და ვალდებულებები – სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტები. მათი საქმიანობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა დისციპლინური წარმოების მასალები, მათ შორის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი, რომელიც ასახავს კონკრეტული მასწავლებლის მიერ შესაძლო დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებულ საკითხის განხილვის ფაქტს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-2, 2026 წლის 12 იანვარი განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;

- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი დისციპლინურ და სააპელაციო კომიტეტში მოსწავლის წარდგენასთან დაკავშირებით (6/10/2025 წლის ოქმი N 1);
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი (8/09/2025 წლისN 6) დისციპლინურ და სააპელაციო კომიტეტებში მასწავლებლის წარდგენის თაობაზე;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (07/10/2025 წ N7) დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტის წევრების არჩევის თაობაზე.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში დანერგილია კომუნიკაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მართვის პროცესების შესახებ ინფორმაციის დროულ, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომ ფორმატში გავრცელებას, ასევე სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის შეგროვებასა და მასზე რეაგირებას. სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფა წარმოადგენს ერთ-ერთ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც საჯაროდ ქვეყნდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, მიმდინარე პროცესები და ადმინისტრაციული განცხადებები. პარალელურად, სკოლა აქტიურად იყენებს ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდს, რაც ზრდის კომუნიკაციის ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს, რომ ინფორმაციამ ფართო აუდიტორიამდე დროულად მიაღწიოს. მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ელექტრონული ჟურნალის სისტემას, სადაც რეგულარულად ქვეყნდება აკადემიურ და ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. დამატებით, დამრიგებლები უზრუნველყოფენ მშობლებთან კომუნიკაციას, აწვდიან მათ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას საერთო კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრების დროს. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია რეგულაციები, რაც უზრუნველყოფს სკოლის პოლიტიკებისა და პროცედურების გამჭვირვალობას. საქმისმწარმოებელი პირი განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებების, ოფიციალური დოკუმენტებისა და შესაბამისი ინფორმაციის გაცნობაზე პასუხისმგებელ პირად, რაც დამატებით უზრუნველყოფს ინფორმაციის წვდომასა და ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზებულობას. პედაგოგიური პერსონალისთვის ინფორმაციის გაზიარება და უკუკავშირის შეგროვება ხორციელდება კათედრების სხდომებზე, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე, სადაც თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა გამოთქვან მოსაზრებები, წარადგინონ წინადადებები და მიიღონ პასუხები მათ მიერ დასმულ კითხვებზე. ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით, რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგდოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მასწავლებლის,

მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის წევრობით. სამეურვეო საბჭო იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სკოლის ბიუჯეტთან, დისციპლინური კომიტეტის არჩევასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლების ჩართულობით მიიღება ისეთი მნიშნელოვანი გადწყვეტილებები როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის ჩართულობით უზრუნველყოფილია მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღება. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისგან (პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეები, დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრსი წარმომადგენელი, მანდატური), რომლებიც თანამონაწილეობით იხილავენ სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს. გარდა ამისა, მშობელთა კრებებზე განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და ხდება მათი აზრის დაფიქსირება, ხოლო დისციპლინურ კომიტეტში განიხილება დისციპლინური დარღვევები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედსაბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;.
- 2025 წლის 8 დეკემბრის ბრძანება N1-26/1 მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული 06.12.2023 წ. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ოქმი N8). აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს , სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესი. სკოლა იღებს ვალდებულებას შექმნას სკოლის მოსწავლეებისა და დასაქმებულებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ხანძრის დროს სკოლის ქმედება.

სკოლას საქართველოს შინაგან საქმთა სამინისტროს სახელმწიფო სქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რის მტკიცებულებადაც წარმოდგენილი იქნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის წერილი MIA 9 26 00589851 წერილი რომლითაც დასტურდება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

სკოლას მოპოვებული აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა რომლითაც დასტურდება რომ **შენობა ექსპლოატაციისათვის ვარგისია,** თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა და დღეისათვის სამშენებლო პრაქტიკაში არსებული კონსტრუქციების გაძლიერების მეთოდების გამოყენებით, ყველა დაფიქსირებული დაზიანება, დეფექტი და ხარვეზე მთლიანობაში გამოსწორებადია და ტექნიკურად შესაძლებელია. სკოლის შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლოატაცია უშუალოდ უკავშირდება მის სეისმომედეგობის ამაღლებას და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც გულისხმობს მათ დროულ გამაგრება - გაძლიერებას შესაბამისი პროექტით, კვლევაში მოცემული რეკომენდაციების გათალისწინებით.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში არ/ვერ წარმოადგინა სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ხარვეზი. სკოლას არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირთან, სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო სერვისების სააგენტოსთან გაგზავნილი წერილი MES 3 26 0000355746 შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების თხოვნით.შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნები“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია“

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში სამედიცინო კაბინეტი მდებარეობს პირველ სართულზე, ის აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანების შესაბამისად. სკოლის ექიმი აწარმოებს - სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, ახდენს დახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების აღრიცხვას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ – მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია ორი მანდატურით. მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, წესების შესრულების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის არსებობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. აღნიშნული მიმართულებით სკოლა ახორციელებს როგორც პრევენციულ, ისე მხარდამჭერ ღონისძიებებს. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფსიქოლოგთან, რაც უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში პროფესიული ფსიქოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისთვის. დამრიგებელთა პორტფოლიოების ანალიზის

საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დამრიგებლის საათის ფარგლებში განიხილება ისეთი თემები, როგორიცაა ეფექტური და სწორი კომუნიკაცია, კიბერბულინგის პრევენცია, ქცევის წესები სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ, ემოციების ამოცნობა და მართვა (რა გვწყინს, რა გვახარებს) და სხვა. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს, ტრენინგებსა და სხვადასხვა პროექტს, რომელთა მიზანია ძალადობის პრევენცია, ტოლერანტული გარემოს ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკითხებზე. გარდა აღნიშნულისა, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც აქტიურად არის ჩართული ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პროცესში, მონაწილეობს პრობლემების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებული დამლაგებლები პასუხისმგებელნი არიან დაწესებულების შიდა და გარე ფართის სისტემატურ მოწესრიგებაზე. სველი წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მათ შორის: ხელმისაწვდომია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი), ნარჩენების კალათა და რეგულარული დეზინფექცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში მუშავდება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები. მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - რომელიც უკავშირდება ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, სქესობრივ დანაშაულზე უფლების ჩამორთმევის შესახებ ინფორმაციას და სხვა. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (2026 წლის 23 თებერვლის ბრძანება N2-18. ცვლილება ბრძანებაში 2026 წლის 25 მარტი), და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (2025 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N1-33), სადაც განსაზღვრულია იმ პირთა ვალდებულებები, რომლებსაც უწევთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. ვიზიტის პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერზე ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული არ იყო, თუმცა სკოლას ინფორმაციის განთავსების ვადები დარღვეული არ ჰქონდა ბრძანებაში ცვლილების ვადების გათვალისწინებით. მშობლებთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ დამრიგებლები მშობლებს მათი შვილების შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას აწვდიან პირისპირ შეხვედრებზე, ხოლო საერთო კრებებზე განიხილება ორგანიზაციული საკითხები.

სკოლაში მოსწავლეთა პირადი საქმეები დაცულია ცალკე დაკეტილ ოთახში, და შეზღუდულია მასზე წვდომა არაუფლებამოსილი პირის მხრიდან, დასაქმებულთა პირადი საქმეენი კი ინახება ჩაკეტილ რკინის კარადაში.

მშობლებთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებისას დადგინდა, რომ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე, შეადგენდა გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, რაც ეწინააღმდეგება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს ორგანულ კანონს, რომლის მიხედვითაც მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე მიცემული თანხმობა უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე წინაპირობას: იგი უნდა იყოს წინასწარ ინფორმირებული და ნებაყოფლობითი, ამასთან, თანხმობა არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, არამედ - მაქსიმალურად მკაფიო და კონკრეტული (განსაზღვრული მიზნით გაცემული). აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ჩაშენებით დარღვეულია ნებაყობლობითობის პრინციპი. ვინაიდან, მშობელი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ფაქტობრივად „იძულებული" ხდება დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავების ნაწილსაც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობლებისგან მოპოვებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე ინდივიდუალური წერილობითი თანხმობები.

სკოლას მიეცა რჩევა:

- **უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ბრძანების გამოცემიდან 10 დღის ვადაში**
- **მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ამოიღოს პერსონალურ მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობის მოპოვების მუხლი.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები გაწერილი აქვს დოკუმენტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს, აქვთ ინდივიდუალური კომპიუტერები, რომლებიც დაცულია პაროლის სისტემით. კომპიუტერებზე დაყენებულია ანტივირუსული პროგრამები, ელექტრონულ სისტემებში (eschool, eflow, ელ ფოსტა, ელ. ჟურნალი) შესვლა ხორციელდება სპეციალური მომხმარებლის პაროლებით და სახელებით. განსაზღვრულია school.emis.ge-ზე მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები. შეზღუდულია ელექტრონულ ჟურნალში

დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომის მქონე პირთა სია. პირადი საქმეები ინახება სკოლაში დაცულ ადგილას და მის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს, დირექტორის მოადგილეს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ზრუნველყოფილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების მოქმედება და მათი პერიოდული შეფასება. შეფასების პროცესი ხორციელდება მრჩეველთა საბჭოს სხდომების ფარგლებში, სადაც ხდება უსაფრთხოების პოლიტიკისა და შესაბამისი მექანიზმების ეფექტიანობის განხილვა. სხდომებზე განიხილება მოსალოდნელი რისკები და განხორციელებული ღონისძიებები. მრჩეველთა საბჭოს მიერ გაიცემა რეკომენდაციები უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისა და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრის მიზნით, რომლებიც შემდგომ აისახება შიდა შეხვედრების ოქმებში. შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე ფსიქოლოგიური და ფიზიკური უსაფრთხოების მიმართულებით არსებული სისტემების განახლებისა და სრულყოფისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-129, 25 დეკემბერი, 2025 წელი. საგანგებო შტაბის დამტკიცების თაობაზე;
- 23/12/2025 წლის ბრძანება N2-117 სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ;
- 2025 წლის 8 დეკემბრის ბრძანება N1-26/1 მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილი და დასკვნა;
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის წერილი MIA 9 26 00589851;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში და მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან მოპოვებული თანხმობა მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N81.08.09.229. ამონაწერის მომზადების თარიღი 04/02/2026 წ) სკოლის მისამართია ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი, მშვიდობის ქუჩა N42. სკოლას შენობა უსასყიდლო და უვადო უზუფრუქტის ფორმით აქვს გადაცემული (მესაკუთრე - სახელმწიფო). სკოლის შენობა სამსართულიანია. შენობაში 16 საკლასო ოთახია, რომელთაგან ყველას აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. სკოლის შენობაში არის სპორტული და სააქტო დარბაზები, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, ოთახები ადმინისტრაციისათვის, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და ქიმია/ფიზიკა./ბიოლოგიის ინვენტარისთვის ოთახი, ოთახი სადაც იგეგმება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, ოთახი მანდატურებისათვის და სხვა დამხმარე სივრცეები. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის. პირველ სართულზე არის ასევე ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირისათვის.

სკოლას აქვს 25 სამაგიდო კომპიუტერი, რომელიც განთავსებულია ადმინისტრაციის კაბინეტებში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკასა და სხვა სივრცეებში 50 პორტაბელური კომპიუტერი, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ, 5 პროექტორი და 5 პრინტერი,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის შენობის დათვალიერებისა და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი რესურსების თანაბარი გამოყენების შესაძლებლობა. სასწავლო პროცესში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები და სხვა საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობასა და მრავალფეროვნებას. სკოლაში მოწყობილია კომფორტული და სათანადოდ აღჭურვილი სამასწავლებლო სივრცე, სადაც მასწავლებლებისთვის შექმნილია პროფესიული საქმიანობის ეფექტურად განხორციელების პირობები. ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი წარმოადგენს საერთო სარგებლობის სივრცეებს, სადაც როგორც მოსწავლეებს, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკის ფონდით, მოიძიონ და დაამუშაონ ინფორმაცია ინტერნეტსივრცეში. სკოლის ეზო ფუნქციონირებს, როგორც ღია სოციალური სივრცე, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა კომუნიკაციის, თანამშრომლობის, დასვენებისა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის, რაც ხელს უწყობს მათ სოციალურ და პიროვნულ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლის პირველ სართულზე არის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში დაცულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, მეთოდური ლიტერატურა (გარდა სახელმძღანელობისა), ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი აღრიცხულია მატერიალურად. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა წიგნები. წიგნები დამუშავებულია საბიბლოთეკო წესით. სკოლას აქვს ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკარი მუშაობს ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად და შედგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ მხატვრული ლიტერატურა დალაგებულია კლასიფიკაციის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერების/შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულება სრულად ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლის შესასვლელში და პირველ სართულზე მოხვედრისთვის მოწყობილია პანდუსი, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შენობაში შესვლის შესაძლებლობას. ასევე, პირველ სართულზე

განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. შენობა არ არის ადაპტირებული მეორე და მესამე სართულებზე გადაადგილებისთვის. აღნიშნულ სართულებზე შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, რადგან არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურული საშუალებები, როგორიცაა ლიფტი ან/და პანდუსი. სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც აღწერა შეუსაბამობა სტანდარტთან, კერძოდ დააკონკრეტა რომ სკოლას არ აქვს ლიფტი შშმ პირების გადაადგილებისათვის მეორე და მესამე სართულზე და ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობაში განსაზღვრა ინფრასტრუქტურის განვითარების შესაბამის სამსახურთან მიმართვა ლიფტის მონტაჟის თხოვნით და განსაზღვრა პერიოდი 2026 წლის იანვარი-2027 წლის იანვარი. ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა არარელევანტურად მიიჩნია ხარვეზთან მიმართებით, ვინაიდან მხოლოდ მიმართვა პრობლემას ვერ აღმოფხვრის. შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით დაადგინა ხარვეზი.

ხარვეზი. სკოლაში არ არის შშმ პირზე ადაპტირებული გარემო. შენობა სამსართულიანია და სკოლას არ აქვს პანდუსი ან/და ლიფტი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლის გარემოს ადაპტირების (ლიფტის ან პანდუსის მოწყობა) განხორციელების პერიოდი განსაზღვრა 2026 წლის აპრილიდან 2028 წლის აპრილამდე. ქსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია“.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (2026 წლის აპრილი-2028 წლის აპრილამდე) სკოლამ უზრუნველყოს ლიფტის ან პანდუსის მოწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს საგანმანათლებლო გარემოს განვითარებას და ქმნის პირობებს სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის. სკოლის დაცული ეზო, ფოიე და სააქტო დარბაზი აქტიურად გამოიყენება როგორც სასწავლო, ასევე საგანმანათლებლო და კულტურული აქტივობების განხორციელებისთვის. დირექციასა და მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რეგულარულად იყენებს სააქტო დარბაზს, ბიბლიოთეკასა და სკოლის ეზოს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, კულტურული და საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩასატარებლად. აღნიშნული გარემოება დასტურდება სკოლაში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალითაც. გარდა ამისა, სკოლაში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას შესვენებებისა და სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ისარგებლონ სკოლის ეზოთი დასვენებისა და არაფორმალური კომუნიკაციისთვის. მსგავსი სივრცეების არსებობა ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის სოციალური ურთიერთობების გაღრმავებას, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას. შედეგად, სკოლის ინფრასტრუქტურა ეფექტიანად გამოიყენება სასკოლო საზოგადოების სოციალური და კულტურული აქტივობების მხარდასაჭერად და ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას, რაც სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დებულება) ბრძნება N2-119, 23 დეკემბერი 2025 წელი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერების ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში (რესურსოთახში, ექიმის კაბინეტში, სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში. კომპიუტერები აქვთ: დირექტორს 1 , მოადგილეს 1, ბუღალტერს 1, სპეცმასწავლებელს 1, ფსიქოლოგს 1, სსსმ პირის ასისტენტებს თითო-თითო, საქმისწარმოებელს 1 , მასწავლებლებს 23), მათ შორის სკოლას აქვს პრინტერი/ქსეროქსები, პროექტორები. სკოლა ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. ინტერნეტთან წვდომა

უზრუნველყოფილია სამინისტროს მიერ მოწოდებული ინტერნეტით, ზემოთქმუიდან გამომდინარე, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-128, 25 დეკემბერი 2025 წელი), რომელიც განსაზღვრავს სკოლის სარგებლობაში არსებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიით სარგებლობის წესს. წარმოდგენილი წესით რეგულირდება ლაბორატორიით სარგებლობის პრინციპები, რომელიც ეფუძნება თანასწორუფლებიანობას და ხელმისაწვდომობას. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 17 კომპიუტერი. ყველა მასწავლებელს გადაცემული აქვს ლეპტოპი. გარდა ამისა, სკოლას აქვს სამაგიდო კომპიუტერები, რომელიც განთავსებულია სამასწავლებლოში, კაბინეტებში, ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში. ასევე სკოლა აღჭურვილია 5 პროექტორით და 5 პრინტერით, რომლებიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი ;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- მიღება ჩაბარების აქტები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების შიდა დოკუმენტი, რომლის მიზანია დოკუმენტბრუნვის პროცესის სისტემატიზაცია და ეფექტიანი

მართვა. აღნიშნული წესი მოიცავს შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის რეგისტრაციასა და დამუშავებას. სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლაში იწარმოება როგორც საერთო, ასევე საკადრო ბრძანებები და უზრუნველყოფილია მათი სათანადო აღრიცხვა. ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის აღრიცხვის ჟურნალები, მათ შორის: შემოსული და გასული დოკუმენტაციის ჟურნალები, საერთო და საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები, თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი, ასევე ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალები. საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ყველა ჟურნალი მოწესრიგებულია დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ დანომრილია, ზონარგაყრილია და აკინძულია, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სანდოობასა და დაცულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა მართვის პროცესში აქტიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც ხელს უწყობს ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობას, დოკუმენტბრუნვის ოპერატიულობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სკოლაში დანერგილია საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა **eFlow**, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებების განთავსება, ოფიციალური მიმოწერის წარმოება და შესაბამისი დოკუმენტაციის ელექტრონული მართვა. სკოლა ასევე იყენებს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას **Tbilisi219@mes.gov.ge**, რომელიც უზრუნველყოფს უწყებებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიან კომუნიკაციას. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული პორტალის - **registration.emis.ge** საშუალებით. სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის ანგარიში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში" **procurement.gov.ge**, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება შესყიდვების გეგმის, შესაბამისი დოკუმენტაციის რეგისტრაცია და მართვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ვიზიტის მიმდინარეობისას, შესწავლილი იქნა სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები წარმოდგენილია გაკვეთილების ცხრილი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ 2025 წელს სკოლის დირექტორმა წარადგინა ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №5, 2025 წლის 8 დეკემბერი). აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას შიდა მართვის ორგანოების წინაშე.
სკოლა საქმიანობას წარმართავს „საქმისწარმოებით" განსაზღვრული ვადებისა და პროცედურების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შემოსულ დოკუმენტაციაზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას. ამასთან, რესურსცენტრის გავლით და მისივე დახმარებით სკოლა ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სიპებთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების და საჭიროების შემთხვევაში გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. სკოლა პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას ისანი-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრს მიღებული ვაუჩერული დაფინანსების დახარჯვასთან დაკავშირებით, აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე - https://saras.gov.ge/ წარსადგენად და წარადგენს შემოსავლების სამსახურში შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-121 საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ (23 დეკემბერი, 2025 წელი);
- მართვის საინფორმაციო სისტემა;
- **eFlow**.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებგვერდის https://tinyurl.cx/EqGlP , სოციალური ქსელის https://www.facebook.com/ssip.tbilisis.sajaro.sk.ola, სკოლის ელექტრონული ფოსტის **tbilisi219@mes.gov.ge**. და სკოლის ფოიეში არსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო, გადამოწმებული და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეფუძნება ოფიციალურ დოკუმენტაციას, დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სკოლის შიდამარეგულირებელ აქტებსა და მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ქვეყნდება მის ოფიციალურ ვებგვერდზე, სკოლის საინფორმაციო დაფასა და სოციალურ ქსელში. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სკოლის ვებგვერდზე, და სოციალურ ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში იყენებს სხვადასხვა არხს, მათ შორის მშობლების და მოსწავლეების შეხვედრებს, წერილობით და ელექტრონულ განაცხადებებს, მშობელთა გამოკითხვებს. მიღებული უკუკავშირი საფუძველს წარმოადგენს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის. უკუკავშირის ინფორმაციის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს პრობლემური საკითხები და საჭირო ცვლილებები, დაიგეგმოს საქმიანობის ოპტიმიზაცია, და დახვეწილ იქნას სასწავლო პროცესი.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი https://tinyurl.cx/EqGlP, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი მნიშვნელოვანი დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას. კერძოდ, ვებგვერდზე

წარმოდგენილია ინფორმაცია სკოლის ფილოსოფიის შესახებ (მისია, ხედვა, ღირებულებები), სკოლის სტრუქტურისა და მართვის მოდელის შესახებ, კურიკულუმები საფეხურების მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტრატეგიული განვითარების გეგმა, 2025–2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემების აღწერა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები, ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების შიდა ინსტრუქცია, მოსწავლის ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმი, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები, ასევე განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ და 2026 წლის ბიუჯეტი, ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდი https://tinyurl.cx/EqGlP,
- სოციალური ქსელი https://www.facebook.com/ssip.tbilisis.sajaro.sk.ola;
- 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება N2-130 სკოლის ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მშობელთა გამოკითხვის მტკიცებულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა აღნიშულისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, სკოლის კუთვნილ დამატებით და პროგრამულ დაფინანსებას. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. სკოლის დირექტორის ფინანსური ანგარიშიდან გამომდინარე სკოლის ბიუჯეტით სრულად იფარება დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის, წყლის, დასუფთავების მოსაკრებელის, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, სამედიცინო და სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურების, ასევე შენობა-ნაგებობის მიმდინარე რემონტის ხარჯები. ამრიგად, სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი", რომლითაც განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავების, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენის, შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცებისა და მისი კორექტირების წესები. სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა და შემცირების შემთხვევაში, საბიუჯეტო წლის განმავლობაში ხორციელდება ბიუჯეტის კორექტირება და კორექტირებული ბიუჯეტის დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2019 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N2-128 სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის და წლიური გეგმის ფორმის დამტკიცების თაობაზე;

- სამეურვეო საბჭს სხდომის ოქმი N5 (8 დეკემბერი, 2025 წელი) სკოლის დირექტორის ფინანსური ანგარიშგებისა და ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე.
- სკოლის დიტრექტორის ფინანსური ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში შემუშავებულია სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტი, კერძოდ: შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი (დამტკიცებულია 2026 წლის 12 იანვარს N2-3 ბრძანებით); შინაგანაწესი; მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (ბრძანება N2-5); მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (დამტკიცებულია 2025 წლის 24 დეკემბერი N2-122 ბრძანებით), მოსწავლის ქცევის კოდექსი, დამტკიცებულია შიდა ინსტრუქცია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით (ბრძანებაა N2-126), სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ზოგადსაგანამანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ. ასევე, გაფორმებულია ხელშეკრულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის, უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას მხარეების ვალდებულებების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

სკოლის შინაგანაწესში ასახულია მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვები, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლის წახალისებისა და გამოყენების წესი, დისციპლინური წარმოების წესი და სხვა. მოსწავლეთა ადაპტაციის წესის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას, პირველკლასელთა, საფეხურიდან საფეხურზე და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ინტეგრაციას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის უფლებები სასწავლო პროცესში, მაგ: შემაჯამებელის აღდგენის პროცესის რეგულირება, მოსწავლის მიერ აკადემიური შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობა სემესტრული გამოცდის გზით და სხვ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციები გამჭვირვალეა. მოსწავლეთა ინფორმირებას კანონით გათვალისწინებული უფლებების შესახებ უზრუნველყოფენ დამრიგებლები, კლასის საათის ფარგლებში. ამასთანავე სკოლაში ხორციელდება პროექტები, უფლებების შესახებ, ცნობიერების ამაღლების მიზნით. მაგ. სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი „მინდა ვიცოდე ჩემი უფლებები“. სკოლის შენობის ვიზუალური, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის დათვალიერების საფძველზე ჩანს, რომ ინფორმაცია უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ, ხელმისაწვდომია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე. ინტერვიუს დროს, მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, ძირითადად, დამრიგებლის საათზე. რეგულაციები არის გამჭვირვალე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის/მშობლის/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელიც შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მასში ასახულია მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ. ხელშეკრულება მოიცავს მოქმედების ვადებსა და შეწყვეტის პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებს და სხვა დამატებით პირობებს. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულის ფარგლებშიც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით. სკოლის შიდა დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე ჩანს, რომ მშობლები აფორმებენ სკოლასთან

ხელშეკრულებას და იცნობენ ხელშეკრულებაში წარმოდგენილ ინფორმაციას, რაც დასტურდება ხელშეკრულებაზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (ბრძანება N2-5), რომელშიც გაწერილია მოსწავლის პირველ კლასში მიღების წესები და ეტაპები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, სხვადასხვა კლასში მოსწავლის მიღების წესი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვა, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება, მობილობის პროცედურა და სტატუსის შეჩერება-აღდგენის პირობები. ამ პროცესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის პორტალზე. ინფორმაციის მიწოდება, ასევე ხორციელდება დამრიგებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომლებშიც განთავსებული იყო კანონმდებლობთ გათვალისწინებული ინფორმაცია კლასში ჩარიცხვის, კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ. სტატუსის შეჩერებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პრაქტიკა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს მობილობის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადასვლის დოკუმენტაცია, შიდა ბრძანებები, მოსწავლეთა პირადი საქმეები, რითაც დადგინდა, რომ პროცესები კანონით და სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციების

შესაბამისად მიმდინარეობდა. სკოლას არ აქვს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პრაქტიკა, შესაბამისად აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მტკიცებულებები არ დამუშავებულა, ექსპერტთა ჯუფის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს მომსახურების სახეებისა და პირობების სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობას. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა საერთო კრების ოქმი, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სასკოლო სასწავლო გეგმის და სკოლის შინაგანაწესის გაცნობის შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომელთა შესახებაც კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებებზე/სამუშაო შეხვედრებზე სასწავლო წლის დასაწყისშივე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს. ვიზიტის დროს როგორც მოსწავლეებთან და პედაგოგებთან საუბრისას დადგინდა, დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლის ვებგვერდზე ატვირთული მარეგულირებელი დოკუმენტები მაგ: შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა ინფორმაციას აწვდის კლასის დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. აღნიშნული დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითაც. ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების, განახლებისა და გამჭვირვალობის მიზნით, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ინფორმაციის გაცემაზე/ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მშობელთა საერთო კრების ოქმი N1 ;
- ბრძანება სკოლის ვებგვერდზე, სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი (2025 წლის 24 დეკემბერი N2-122 ბრძანება), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, უცხოეთში მიღებული აღიარების საფუძველზე ჩარიცხულ მოსწავლეთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. დოკუმენტით განსაზღვრულია ადაპტაციის ფაქტორები, დეზადაპტაციის ნიშნები და აქტივობები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება ინტეგრაციაში. მექანიზმის მიხედვით, ადაპტაციის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები და საჭიროებები, საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე და სხვა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მშობლებს, რომლებმაც აღნიშნეს რომ მოსწავლეთა ინტეგრაციას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა სკოლის მხრიდან. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არის პოზიტიური კულტურა და კლიმატი, რაც მოსწავლეებს უჩენს სკოლაში სიარულისა და შესაძლებლობების გამოვლენის სურვილს. მოსწავლეებმა ისაუბრეს, წარმატებული, საკუთარი გამოცდილების, ადაპტაციის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებულია მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს, კლასის დამრიგებლების აქტიურ ჩართულობას ახალი მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციის პროცესში. კერძოდ, დამრიგებლები ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას.

კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს წარუდგენს თანაკლასელებს და აცნობს საგნის მასწავლებლებს. დამრიგებლების მხრიდან აღნიშნული მიდგომა დაადასტურეს მოსწავლეებმაც ინტერვიუს დროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლე იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლაში წარმოდგენილია პრაქტიკა, როცა მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში, დამატებით გაკვეთილებს უტარებენ მოსწავლეებს მშობლებთან შეთანხმებით. აღნიშნული საკითხი დაადასტურეს მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა ინტერვიუს დროს. სკოლამ წარმოადგინა, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, კონსულტაციების გამართვის განრიგი. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ექსტერნატის და საშემოდგომო გამოცდის ჩაბარებამდე ისარგებლონ კონსულტაციით და პედაგოგის მხარდაჭერით. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია რემედიაციის საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია რემედიაციის დეტალურად გაწერილი პროგრამა, ინტერვიუს პროცესში მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას აკადემიური სირთულეების დაძლევის პროცესში. ამასთან, მშობლების განმარტებით, სკოლა მათთან შეთანხმებით მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მეცადინეობებს კონკრეტული თემების ფარგლებში, რაც მიუთითებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე და სასწავლო პროცესში მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია, რომ სკოლამ რემედიაციის პროგრამა აამოქმედოს და შემუშავებული რეგულაციების მიხედვით სრულყოს, დოკუმენტურად გაწეროს მის მიერ განხორციელებული სამუშაო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. დოკუმენტი განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოსწავლისა და მშობლის კანონიერ უფლებებს და მათი რეალიზების გზებს. მაგალითად, მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასკოლო სასწავლო გეგმასთან მიმართებით უფლება აქვს აირჩიოს რომელ უცხო ენას და არჩევით საგანს ისწავლის. ასევე, მოსწავლეს შეუძლია საშემოდგომო გამოცდის წარმატებით ჩაბარების მიზნით, მოითხოვოს პედაგოგის კონსულტაცია და უფლებათა დარღვევის შემთხვევაში გაასაჩივროს მომხდარი შესაბამის ორგანოში. მიმართოს დისციპლინურ კომიტეტს და/ან სასამართლოს. სკოლაში, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს დაისვა რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, მათ შორის კითხვა შემაჯამებელი დავალების აღდგენასთან და შეფასებასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა პასუხებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეები ინფორმირებული არიან შეფასების კრიტერიუმების, შემაჯამებელი დავალებების აღდგენის და სხვა საკითხების შესახებ. როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს, აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას იღებენ დამრიგებლების და საგნის პედაგოგებისგან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივების მხარდასაჭერად. ინიციატივების არსებობის შემთხვევაში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ დირექტორს, ასევე ინიციატივები დააყენონ დამრიგებლის წინაშეც. სკოლას არ აქვს შემუშავებული ცალკე მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, თუმცა, როგორც ექსპერტებთან სკოლის წარმომადგენლების გასაუბრებით დადგინდა, მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენა ხდება პირდაპირი კომუნიკაციით კლასის დამრიგებელთან/საგნის მასწავლებელთან ან დირექციაში. სკოლას ჰყავს, კანონმდებლობით არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ინიციატივით წლის განმავლობაში დაგეგმილია და ვიზიტის დროს უკვე განხორციელებული იყო არაერთი აქტივობა, მაგ: ნახატების გამოფენა; კედლის გაზეთების გამოფენა „შემოდგომა საქართველოში“, ჩატარდა სპორტული ღონისძიება-მხიარული სტარტები, „ერთი დღე მასწავლებლის როლში“ და სხვა. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივების წახალისების გარდა, სკოლა მხარს უჭერს არაფორმალურ აქტივობებს, ახორციელებს სასკოლო პროექტებს. სკოლაში ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი და ეკო-კლუბი, რომლის ფარგლებში არაერთი აქტივობა ხორციელდება და რომლის მხარდამჭერიც სკოლის ადმინისტრაციაა. კლუბების საქმიანობა და სხვა არაფორმალური სახის აქტივობები ემსახურება მოსწავლეთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია .

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

როგორც ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ სასკოლო საზოგადოებასთან გასაბრებისას დადგინდა, სკოლაში ძირითადად დამკვიდრებულია უკუკავშირის მიღების ზეპირი ფორმა. სკოლაში ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან (მასწავლებელთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, ადმინისტრაციასთან) გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. სკოლამ მტკიცებულები სახით წარმოადგინა მშობელთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც, როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, სკოლამ გამოიყენა ერთწლიანი გეგმის შედგენისას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მათ შორის გასაუბრებისას არ გამოიკვეთა მკაფიო ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც სკოლის ადმინისტრაცია უკუკავშირს იღებს მოსწავლეებისგან და აუმჯობესებს მოსახურებას. სწორედ ამიტომ, სკოლამ ექსპერტებისგან მიიღო

რჩევა: სასურველია, მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, უკუკავშირის მისაღებად, სკოლამ ჩაატაროს სისტემატიზირებული ანონიმური გამოკითხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;

- დამრიგებლის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა;
- კლუბების სამოქედო გეგმა და წესდება;
- უფლებათა დაცვის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების შესახებ მოსწავლეების ინფორმირების საშუალებით. სკოლის ორგანიზებით ხორციელდება ვიზიტები კოლეჯებსა და დაწესებულებებში, რათა IX-XII კლასის მოსწავლეები უკეთ გაეცნონ სხვადასხვა პროფესიებს და გაუადვილდეთ არჩევანის გაკეთება. სკოლას 2024 წლის 05 აპრილს გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიასთან-SBA, რომლის ფარგლებში კოლეჯი განახორციელებს მოსწავლეებისთვის პროფორინეტაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს. ასევე 2020 წლის 5 თებერვალს გაფორმებულია ხელშეკრულება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის მიხედვით უნივერსიტეტი სკოლის მოსწავლეებისთვის განახორციელებს სხვადასხვა ტრენინგ კურსს და სხვა. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება IX-XII კლასების მოსწავლეებისათვის ხორციელდება სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებშიც და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციებს სხვადასხვა პროფესიებზე, კოლეჯებზე, პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლეს დაწესებულებებზე (რა ტიპის სპეციალობებია, რა ფაკულტეტებია და სხვა). აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან გასაუბრებითაც. მშობლებთან გასაუბრების დროს ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ მისმა შვილმა დამრიგებელთან საუბრის შემდეგ გადაწყვიტა პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას, კარიერულ განვითარებასან დაკავშირებით, სკოლა ახორციელებს მშობელთა კრებებზე, სადამრიგებლო საათის ფარგლებში და სხვადასხვა საკომუნიკაციო ჯგუფებში ინფორმაციის გაზიარების გზით. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები გეგმავენ და ატარებენ საუბრებს

საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლებთან პროფესიის არჩევასა და შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომ არსებულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ არაერთი ღონისძიება იგეგმება მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და ინფორმირების მიზნით. რაც დაადასტურეს მოსწავლეებმაც შესაბამისი ფაქტების დასახელებით. სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომელიც მოიცავს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია შეიმუშაოს ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მიიღებს შეფასებას გაწეული მომსახურების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმები;
- სადამრიგებლო პროგრამა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით. სკოლას, 2025 წლის 24 დეკემბერს, შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი. წესის მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლის სირთულის იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭების და სხვა პროცედურები. სკოლას, ასევე გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლეთა განათლების რეგულირების საკითხები სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 13 სსსმ მოსწავლე. სკოლაში დასაქმებულია 1 სპეციალური მასწავლებელი, 2 ასისტენტი და 1 ფსიქოლოგი, რომელებიც შესაბამის მხარდაჭერას უწევენ სსსმ მოსწავლეებს. სკოლაში დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის

საფუძველზე შექმნილია ისგ ჯგუფები. ისგ ჯგუფის სხდომაზე განიხილება სსსმ მოსწავლეების მიღწევები და საჭიროებები. ყოველი შეხვედრა აღწერილია ოქმებში. ოქმების გაცნობის საფუძველზე იკვეთება მშობელთა ჩართულობა. ექსპერტების მიერ სპეც. მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს წლიურ სამუშაო გეგმებს, შეიმუშავებს ისგ- ის ზოგად ნაწილს საგნის მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით. სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ. ჯგუფის ოქმები, ინტერვენციის გეგმები და შიდა მონიტორიგნის ჯგუფის დასკვნა, რომელიც გაგზავნილია განათლების და მეცნიერების სამინისტროში. სკოლის შენობაში განთავსებულია ერთი რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა რესურსით. უნდა აღინიშნოს, რომ 13 მოსწავლიდან 4 მოსწავლეს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნის ფორმაში, მითითებული აქვს რომ საჭიროებს ენისა და მეტყველების სპეციალისტს. თუმცა, სკოლას აღნიშნული სპეციალისტი არ ჰყავს. სკოლამ წარმოადგინა წერილი სსიპ ისანი-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრისადმი მიწერილი, რომლის მიხედვითაც სკოლა ითხოვს ენისა და მეტყველების სპეციალისტის შტატის დამატებას, რათა სრულად იქნეს განათლების უფლება და მხარდაჭერა უზრუნველყოფილი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, რამდენადაც პროცესში ჩართულია სკოლის ყველა სტრუქტურა, შექმნილია ისგ ჯგუფები. მშობლის, სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებელთა კოორდინირებული თანამშრომლობით ხდება სსსმ მოსწავლეების ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ჯგუფის წევრები იხილავენ მოსწავლის შედეგებს და საზღვრავენ მოკლევადიან გეგმებს. თანამშრომლობითი ურთიერთობები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებით. სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციისთვის სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მე-5 მუხლი ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმს სკოლაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- მოსწავლის ინდ.გეგმები;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა;

- სსსმ მოსწავლის პირადი საქმეები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მოსწავლეები დამატებითი მომსახურების სახით სარგებლობენ ტრანსპორტის მომსახურებით. ვიზიტის პერიოდში სკოლა სარგებლობდა „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით. მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა გადაადგილების მონიტორინგს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ცხრილი, რომელშიც ასახულია ტრანსპორტის გამოყენებისა და მონიტორინგის მონაცემები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ტრანსპორტირების პროგრამა ხორციელდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პროგრამის ფარგლებში, რათა მოხდეს სკოლიდან შორს მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლაში და მათთვის განათლების მიღების ხელშეწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით და წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებით, მძღოლისადმი წაყენებული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სატრანსპორტო ტაბელი;
- ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	**[redacted] შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას, 2025 სასწავლო წელს შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპებს. კურიკულუმის შემუშავების პირველივე ეტაპზე, ხდება სასკოლო საზოგადოების, მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაშიც, სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და მათ ინტერესებს ასახავს სასკოლო კურიკულუმში. სასკოლო საზოგადოების ინტერესებს სკოლა შეისწავლის გამოკითხვის გზით, მიღებულ შედეგებს კი ასახავს სასკოლო კურიკულუმში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლა კურიკულუმებს შეიმუშავებს კათედრის წევრთა აქტიური ჩართულობით. კათედრა თანხმდება ყველა პარალელურ კლასში ერთ საერთო კურიკულუმზე, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არის ჩართული დირექტორის მოადგილე, რომელიც კოორდინირებას უწევს კათედრების მუშაობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმი განიხილება კათედრის ფარგლებში, კურიკულუმი სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, რაც გულისხმობს იმას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების თაობაზე;
- შემოქმედებითი ტიპის დავალებები;
- პედსაბჭს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრა სხვადასხვა ტიპის დავალებების შექმნისას ითვალისწინებს

	მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების რეალური გზა. სკოლას სამივე საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები, სადაც გაწერილია თემები, საკითხთა კლასტერები, მითითებულია შესაბამისი რესურსები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სწავლება ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. **რჩევები:** დაწყებით საფეხურზე, კერძოდ „მე და საზოგადოების“ მე-3 კლასის კურიკულუმში, აუცილებელია თითოეული თემა მოიცავდეს ყველა სამიზნე ცნებას, ხოლო მე-4 კლასსა და „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასში სამიზნე ცნებები უნდა გადანაწილდეს საკითხების კლასტერებზე. საბაზო საფეხურზე, მე-8 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმს უნდა დაემატოს გამოტოვებული თემა „კავკასია“. ყველა კლასის გეოგრაფიის კურიკულუმის თავფურცლიდან უნდა ამოიჭრას ცნება „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“, რადგან იგი აღარ ფიგურირებს სტანდარტში. ანალოგიურად, მოქალაქეობის სტანდარტის შედეგებიდან უნდა ამოიღოთ ცნებები „სოციალიზაცია“ და „ინიციატივა და მეწარმეობა“. საშუალო საფეხურზე, მე-11 კლასის ისტორიის, მე-11 და მე-12 კლასების საქართველოს ისტორიისა და მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები უნდა გადანაწილდეს საკითხების კლასტერებზე. ისტორიის მე-12 კლასის კურიკულუმში ასახეთ სტანდარტით გათვალისწინებული თემები: „ხანმოკლე XX საუკუნე“ და „მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე“. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინგლისურ და რუსულ ენებში შემუშავებული კურიკულუმები დაგეგმილია მოსწავლეზე უწყვეტი განვითარების პროცესზე და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დოკუმენტს. კურიკულუმები ყველა საფეხურზე ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. თითოეული კლასის კურიკულუმში გათვალისწიებულია გრძელვადიანი მიზნები და მოცემული შუალედური მიზანები მორგებულია მოსწავლის ასაკობრივ მახასიათებელს და ხელს უწყობს მოსწავლის არა მარტო ცოდნის დაგროვებას ასევე მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი **დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის** ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები მათ შორის სავალდებულო პროექტებით სწავლების მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები მიემართება სასწავლო გეგმის გრძელ ვადიან მიზნებს და სტანდარტის მოთხოვნებს შესაბამისად, დოკუმენტებიდან იკვეთება რომ სასწავლო შედეგები მიიღწევა შუალედური მიზნებისა და სამიზნე ცნებების გააზრებით. ჩანს რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული და ასახავს დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში ცნებათა მიმართებით შეინიშნებოდა მცირე ცდომილებები, რომლებიც გასწორდა და განახლებული სახით ხელახლა გადმოიგზავნა ვიზიტის პერიოდში. მასწავლებელთა მიერ შერჩეული თემები, შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, მოთხოვნებს. კურიკულუმის ფარგლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მოსწავლეებს აკადემიური და პიროვნული განვითარებისთვის ხელშემწყობ აქტივობებსა და დავალებებს სთავაზობს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებასა და მათი აკადემიური უნარების სრულყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს არჩევითი საგნის ,,ფოლკლორი და მითოლოგია“, სწავლება, რომლის დოკუმენტაცია წარმოდგენილია კათედრის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ინტერესითა და ხალისით მუშაობენ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ დავალებებზე. პედაგოგები საუბრობენ თუ როგორ წარადგენენ დავალებას მოსწავლეების წინაშე და რა ეტაპებს გადიან დავალების განხორციელებისა და წარდგინებისთვის, რაც აშკარად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, პროექტები და აქტივობები ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებას გულისხმობს. კურიკულუმი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, არამედ იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის ფიზიკური, პიროვნული, სოციალურ-ემოციური და შემოქმედებითი ზრდისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა, მოდელის დამზადება, ბუკლეტის შექმნა), რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს.

	რჩევა: სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დაიხვეწონ ბუნებისმეტყველების III, IV კლასების კურიკულუმები. კერძოდ მკაფიოდ გაწერონ თემები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები (ისტორია, საქართველოს ისტორია, ჩვენი საქართველო, გეოგრაფია, მოქალაქეობა) პასუხობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. დასკვნა ეფუძნება სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმების ანალიზს, სადაც სასწავლო მიზნები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან. პროექტული სწავლების გეგმები სამოქალაქო განათლებაში და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები კი ადასტურებს, რომ სკოლის სასწავლო პროცესი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და პრიორიტეტებს. **რჩევები: სასურველია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მე-6 კლასის „ჩვენი საქართველოს“ და მე-11 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში უნდა მიეთითოს შემოქმედებითი ბუნების დავალება. მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში სრულად ჩაწერეთ შემოქმედებითი დავალების სახელწოდება („თვითმმართველობა“), ხოლო მე-9 კლასში დააზუსტეთ შემოქმედებითი დავალების კონკრეტული პროდუქტი. მე-11 და მე-12 კლასების გეოგრაფიის კურიკულუმებში, შესაბამისი თემების გასწვრივ, აუცილებელია მიეთითოს ძირითადი კონტექსტ-მაგალითი და შემოქმედებითი დავალება.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში, ინგლისურ და რუსულ ენებში, მოცემული სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები, შუალედური მიზნები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას რომ პროცესი იყოს ორიენტირებული სხვადასხვა ფუნქციურ უნარებზე როგორიცა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფხურზე** წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული ესგ და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ჩანს რომ საგნობრივი კურიკულუმები კათედრაზე შემავალი წევრების ერთობლივი ნამუშევარია, სადაც ასახულია ესგ და სტანდარტით

	განსაზღვრული სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები სამიზნე ცნებები, ქვეცნებები რესურსები, აქტივობები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები. დაგეგმილი აქტივობები სასწავლო შედეგებისა და ფუნქციური უნარების განვთარებას უწყობს ხელს. დაწყებით საფეხურზე შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, მინი პროექტები, სახალისო აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში ჩაშენებულია შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომელთა შესრულებისას მუშავდება ცალკეული ცნებები. სამივე საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. სახელმწიფო ენის კათედრას მრავალფეროვანი საგნობრივი პროექტები აქვთ განხორციელებული, რომლებიც კარგად ეხმარება მოსწავლეს სწავლის შედეგის მიღწევაში,თუმცა ისინი არ არის ასახული კურიკულუმებში. **სასურველია: თითოეულ საფეხურზე განხორციელებული საგნობრივი პროექტები ჩაიწეროს სათანადო თემასთან, რათა იქცეს კურიკულუმის ნაწილად.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. დავალებები და აქტივობები ისეა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას ასევე გამოიკვთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი შემოქმედებითი დავალებებით, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ფიზიკურ გაჯანსაღებას, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ

	კომპეტენციებთან. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ, ჩანს ცოდნათა სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს , მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ცნებებსა და თემებს, დაგეგმილია შუალედური მიზნები. **რჩევა: თითოეულ თემაში დამუშავდეს სდანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები. კერძოდ, პირველი კლასის ქართული ენის წინასაანბანო პერიოდში დამუშვდეს ცნება: წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა, მე-2, მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში სამივე სამიზნე ცნება.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, მასწავლებლები სწავლა - სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ, ციფრულ მასალებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების და შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები, რეკომენდაციები და უსაფრთხოების წესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის ანალიზით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებით. თითოეული კლასის კურიკულუმში ამა თუ იმ თემის გასწვრივ მითითებულია არა მხოლოდ სახელმძღვანელოები, არამედ რუკები, დამხმარე ინტერნეტ-რესურსები და ლინკები. რესურსების ასეთი არჩევანი ხელს უწყობს მასალის

	თვალსაჩინოდ მიწოდებას და ეხმარება მოსწავლეებს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ძირითდად გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები. ასევე ონლაინ და სხვა მატერიალური რესურსებიც. (პოსტერები, ფლეშ ქარდები) რაც ხელს უწყობს, მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობას და ცოდნის სიღრმისეულ ათვისებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლას კათედრაზე განხილული აქვს და არჩეული ძირითად საგანმანათლებლო რესურსად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია სასწავლო რესურსი, ელექტრონული რესურსები რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. კურიკულუმებში მოცემული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები მიზნობრივად და სწორად არის შერჩეული. მაგალითად, ილუსტრაციები, პლაკატები, სასწავლო ბარათები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები სსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული თვალსაჩინოებები, ელ რესურსები, რომლებიც ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში და მათ შორის სსმ მოსწავლეების შემოქმედებითი, კოგნიტური და აკადემიურიუნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად გრიფირებულ სახელმაძღვანელოებთან ერთად მითითებულია დამატებითი რესურსები, კათედრა იყენებს როგორც მატერიალურ სასწავლო მასალას, ასევე ელექტრონულ რესურსებსაც. აქედან მიწოდებული მრავალფეროვანი ინფორმაცია, თვალსაჩინოება, აქტივობები ეხმარება მოსწავლეს მოძიების, ინფორმაციის გადარჩევის, აზროვნების უნარის განვითარებაში. საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვაალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები იყენებენ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს, არამედ ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს , რაც მოსწავლეებს ეხმარებათ მათემატიკის

	უფრო მარტივად და სახალისოდ შესწავლაში. ასევე კათედრაზე იყენებენ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილ რესურსებს, რომელიც გასაუბრების დროს წარმოადგინეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,სრულად უზრუნველყოფს სასწავლ პროცესის ეფექტიან წარმართვას და სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი შერჩეულია ესგ-ის მიზნებისა და კურიკულუმში აღწერილი კომპეტენციების გათვალისწინებით. რესურსები მოიცავს როგორც საბაზისო მასალებს, ასევე დამხმარე რესურსებს (მათ დიდ ნაწილს მასწავლებლები საკუთარი ხელით ქმნიან), რაც უზრენველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინდივიდუალური საჭროებების გათვალისწინებასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურად მიღწევას. ამ რესურსების დახმარებით შესაძლებელია სწავლების პროცესის გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ინლუზიური გარემოს შექმნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში მოცემულია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსები. კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა: სასურველია საგნობრივი კურიკულუმები გაამდიდრონ დამატებითი რესურსებით.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან

	მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია გრძელვადიანი და შუალედური მიზანი, გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და ცდილობენ გამოიყენონ ეს მიდგომები სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, სწავლის სტილით, ინტერესით. მაგალითად, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის სასურველი ფორმით (საპრეზენტაციო ფურცელზე, ელექტრონული ფორმით). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლებმა გაითვალისწინეს დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები. პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომელთა პირობასაც, საჭიროებისამებრ, მოსწავლის შესაძლებლობების მიხედვით ადაპტირებენ. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ დავალებების შერჩევისას პედაგოგები ორიენტირებულნი არიან თითოეული მოსწავლის აკადემიურ მზაობაზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობასა და ყველა ბავშვის ჩართულობას. **რჩევები: სასწავლო რესურსების სვეტი სრულად შეივსოს ყველა საგნის კურიკულუმში. მე-7 კლასის ისტორიაში ზოგადი დასახელებების (YouTube, Google) ნაცვლად მიუთითეთ კონკრეტული წყაროები. მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში რესურსების ლინკებს დაურთეთ შინაარსობრივი აღწერილობა. მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში დაამატეთ ელექტრონული რესურსი. გეოგრაფიის მე-8 კლასის (სამხრეთ ამერიკა, ევროპა) და მე-9 კლასის თემებში სრულად შეავსეთ რესურსების გრაფა. მე-11 კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში გაასწორეთ სახელმძღვანელოს გვერდების ნუმერაცია წიგნის რეალური მოცულობის (176 გვერდი) შესაბამისად.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ მასალებში ჩანს, რომ სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების ზოგად პრინციპებს, პედაგოგებს ესმით დიფერენცირებული მიდგომის ძირითადი არსი და საჭიროებისამებრ იყენებენ მას პრაქტიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზზო და საშუალო საფეხურის** საგნობრივ პროგრამებში ჩანს რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის მათ შორს სსმ მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები, შექმნილია

	მოსწავლის საჭიროებაზე შექმნილი დავალებები და აქტივობები, რომელიც ყველა მოსწავლის ჩართვას და ინტეგრაციას ითხოვს სასწავლო პროცესში, დოკუმენტებში ჩანს რომ ინდ. გეგმებში პედაგოგები ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას და ამარტივებენ ისე რომ მოსწავლემ შეძლოს შედეგზე გასვლა. გამოყენებულია ხმოვანი წიგნები, ილუსტრაციები, სასწავლო ბარათები, ტექნოლოგიები, თამაშებით სწავლება იმისათვის რომ სსმ მოსწავლეებმაც შეძლონ შემოქმედებით და სპორტულ ღონისძიებებში, კონკურსებში მონაწილეობა და ჩართვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ჰყვებიან, თუ როგორ ამზადებენ ყოველ ჯერზე სასწავლო რესურსებს, რომ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესს მოარგონ გაკვეთილი. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში. კათდრამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოთხოვნის შემდეგ გადმოიგზავნასს სმ მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრებიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებთან ინტერვიუმ ცხადი გახადა, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. ამას ადასტურებს ის აქტივობები რომლებსაც ახორციელებენ ისინი სასწავლო პროცესის დროს. მოსწავლეებს აქვთ უფლება თავიანთი სურვილზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით აირჩიონ ესა თუ ის აქტივობა და დავალების წარდგენის ფორმატი ეს იქნება ციფრულად თუ მატერიალურად, რაც ასევე ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება პირობის გართულება და პირიქით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი

	თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს ისგ გეგმები რომელიც საშუალებას იძლევა რომ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები იქნას აღწერილი, ამასთან კომპლექსური დავალების შინაარსობრივ ნაწილში აღინიშნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე მოქმედი შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) პრინციპებს, შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზე. თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოსწავლეებს წინასწარ ეცნობათ. რუბრიკებში, როგორც განმსაზღვრელში, ასევე განმავითარებელში მკაფიოდ ჩანს სამიზნე ცნებები და შედეგი. შეფასების პროცესში გამოიყენება თვითშეფასების და ურთიერთშეფასების სქემები, რაც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებს. ამასთან ერთად, მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პედაგოგები პრაქტიკულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებასა და კონსტრუქციულ უკუკავშირს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები , როგორც ზოგადი ასევე კონკრეტული დავალების პირობასთან მიმართებით. დავალების შესაფასებლად გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები, თუმცა ზოგიერთი

	შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს. წარმოდგენილია ასევე სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკებიც, როგორიც არის: პრეზენტაციის, თვითშეფასების პროექტის, ჩართულობის და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლის მიერ იქნა გადმოგზავნილი მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი, რომლებიც შეესაბამება ესგ მიზნებს. დოკუმენტებიდან ჩანს რომ მოსწავლეთა შეფასებისას პრიორიტეტი მინიჭებული აქვთ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლე მიღებულ ცოდნას გამოიყენებს პრაქტიკაში, დოკუმენტებში ჩანს რომ შეფასების მიზანია შედეგების გაზომვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების (სამიზნე ცნებების და ქვეცნებების) გამოყენებით კონკრეტულ თემასა თუ საკითხთან მიმართებაში. სკოლა მოსწავლეებს აფასებს დიაგნოსტიკური შეფასებით, შემაჯამებელი დავალებებით, პრეზენტაციებით, პროექტებით, ანგარიშების მომზადებით და სხვა. თითოეული შეფასების ფორმა სკოლის დოკუმენტებში ჩანს რომ განხილულია კათედრაზე და შეთანხმებულია ადმინისტრაციასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მტკიცებულებებად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე სკოლა ახორციელებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. კათედრის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს. **რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვს.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, ესთეტიკურ აღქმაზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. **რჩევა: სამივე საფეხურზე - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო თემისათვის.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კლასებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები . **რჩევა: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმებით;
- შეფასების რუბრიკებით;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით;
- კათედრის ოქმებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მიმართულებით (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა შესაბამისობაშია წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებთან. ინტერვიუებმა და მოსწავლეთა შესრულებულმა დავალებებმა დაადასტურა, რომ საგაკვეთილო პროცესი ორიენტირებულია კურიკულუმით დასახული გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებებისა და ამოცანების მიღწევას. ეს გამოიხატება არა მარტო წარმოდგენილი დოკუმენტებით არამედ პედაგოგების ყოველდღიური პრაქტიკის ანალიზით, რაც გასაუბრების დროს გამოიკვეთა და დადასტურდა სკოლაში დანერგილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სისტემით. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს სადაც აქტივობები დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად და ხელს უწყობს მოსწავლის სრულყოფილ განვითარებას **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე** სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით ესგ და საგნის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად დაწყებით და საბაზო საფეხურზე ყურადღება მახვილდება სასწავლო პროგრამებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებაზე, აღმზრდელობით საკითხებზე. რისთვისაც გამოყოფილია პრიორიტეტული თემები. სკოლის დოკუმენტებით და მასწავლებელთ ინტერვიურებისასაც გამოიკვეთა რომ კურიკულუმის განხორციელების შემდეგ ხდება ანალიზი და შედეგების განხილვა, რათა მომავალი პროგრამების შექმნის დროს მოხდეს მისი გათვალისწინება, რაც შეეხება საშუალო საფეხურის კურიკულუმს სკოლას უკვე განხორციელებული პროექტები ჰქონდა გადმოგზავნილი, რომელიც არ იყო სრული სურათი სასწავლო წლის მეორე სემესტრში რომელი პროექტები უნდა განეხორციელებინა მასწავლებელს. მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა რომ მოსწავლეთა ინტერესები რომ გაეთვალისწინებინათ მათ უნდა აერჩიათ პროექტის სახეობა, უკვე სრული ფორმით მთელი სასწავლო წლის კურიკულუმი ინტერვიუს შემდეგ იქნა გადმოგზავნილი სკოლის მხრიდან, რაც ნათელ სურათს ქმნიდა უკვე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შემოქმედებითი ბუნების დავალების ბარათებზე და წარმოდგენილ სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გადმოგზავილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ენის კათედრა ახორციელებს მნიშვნელოვან ატივობებს (კლუბური მუშაობის ფარგლებში შესრულებული პროექტი, კვირეულები თუ სხვა), რომელთა დახვეწა და კურიკულუმის ნაწილად ქცევა კიდევ უფრო გაამდიდრებს სასკოლო კურიკულუმს.

	რჩევა: სახელმწიფო ენის კათედრის მიერ ინიცირებული და განხორციელებული პროექტები, კვირეულები, სასურველია კიდევ უფრო დაიხვეწოს, რათა იქცეს სასკოლო კურიკულუის მნიშვნელოვან ნაწილად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება ემყარება ესგ-ის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა ფიზიკური თვისებებისა და შესაძლებლობების, შემოქმედებითი უნარების, ესთეტიკური აღქმის, თვითგამოხატვისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, თემატური თანმიმდევრობა, მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია სადაც გაწერილი კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასები ფაზები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; პედაგოგები წლის განმავლობაში ორჯერ ახორციელებენ კურიკულუმის შეფასებას. შეფასების საფუძველზე გამოკვეთენ პრობლემას და საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში და სასწავლო პროცესში ახორციელებენ შესაბამის ცვლილებებს. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა რეაგირებს სასწავლო პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. წარმოდგენილი რუბრიკები შემუშავებულია ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა მეტწილად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და მიზნებს. წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება საგნის შესაბამის სამიზნე ცნებებს. თუმცა, კურიკულუმებში დოკუმენტურად არ არის ასახული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პედაგოგებს გათავისებული აქვთ მათი მნიშვნელობა და პრაქტიკულად იყენებენ უკუკავშირის მექანიზმებს, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამის მოლოდინებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის და სამართლიანობის კრიტერიუმებს. ის დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საშუალებით. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტებით და შესრულებული შემოქმედებითი დავალების ანალიზით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში, საგნობრივ პროგრამებში და შეფასების რუბრიკებში ჩანს რომ შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მუდმივი მონიტორინგი. სკოლის შეფასების სისტემა ყველა საფეხურზე მოიცავს როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის მიზანია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და მათ განვითარებაზე

	დაკვირვება, ამისათვის სკოლას გამოყენებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრე,ლი შეფასების ფორმები. გარდა ამისა მოსწავლეთა პროგრესზე დაკვირვებისათვის კათედრაზე შეთანხმებული აქვთ და შექმნილი სხვადასხვა ფორმის შეფასებები მაგალითად: სემეტრული, წლიური შეფასება დიაგნოსტიკური შეფასება შემაჯამებელი დავალების შეფასება, გამოცდით შეფასება, კომპლექსურის შეფასება და სხვა რომლის შესახებ ინფორმირებული არიან სკოლა, მოსწავლე და მშობელი. საბოლოოდ კი მასწავლებლები წლიურ და სემესტრულ ანგარიშებში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ზუსტად ზომავს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **რჩევა: სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელი ან შემოქმედებითი დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებს კათედრა შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნის უფრო მეტ, კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ, შეფასების რუბრიკებს.** **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამარლიანი. შეფასება ემყარება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და წინასწარ ინფორმირებულობას. ვალიდურობა გარანტირებულია იმით, რომ შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტებსა და უნარებს, რომელიც ესგ-ით არის განსაზღვრული. სანდოობა და ობიექტურობა მიიღწევა სტანდარტიზებული კრიტერიუმებისა და მრავალმხრივი შეფასების ფორმების გამოყენებით.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას 2025 წლის 18 დეკემბერს შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის წესი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე პასუხისმგებელია დირექტორი, თუმცა პროცესში შესაძლებელია ჩართული იყვნენ სხვა პირები, როგორიცაა დარგის ექსპერტები. ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულების ვერიფიკაცია. სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას, გამოიკვეთა, რომ ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს ვერიფიკაციის განსახორციელებლად მოსამზადებელი სამუშაოები. შესაბამისად, ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირების პროცესი ვერ შეფასდა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა ნამუშევრების, შემაჯამებელი დავალებების შენახვა სამი წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ შესაძლებელი იყოს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება შესაძლებლობის ფარგლებში. სწავლა სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ მასალას, პლაკატებს, აუდიო და ციფრულ მასალებს. შერჩეული რესურსები შესაბამისია გაკვეთილის მიზნის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დავალებების ნიმუშების ნახვის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა სახის რესურსს შედეგებზე გასასვლელად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში საგნის მასწავლებლის მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი ისე დამხმარე რესურსები, რომლებიც თანხვედრაშია სტანდარტით გათვალისწინებულ თემებთან, ცნებებთან და შემოქმედებით დავალებებთან. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად დამხმარე რესურსებად ძირითადად წარმოდგენილია ონლაინ რესურები. ეს ყველაფერი ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს ეროვნული სასწვალო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციებში თუ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს რომ ძირითადი თუ დამხმარე რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, ელ. რესურსები. მატერიალური თუ ფიზიკური რესურსები ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, თუ სხვა თანაბრად არის ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის, ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ თითოეულ კაბინეტზე გამოკრულია მათი სარგებლობის წესები და განრიგი, რომლის მიხედვითაც ხდება მათი გამოყენება

	სკოლის მიერ დამატებით რესურსებად გამოიყენება ტვ სკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, საშინაო სკოლა, სსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სახელმძრვანელოები და ბარათები, ილუსტრაციები. ჩანს რომ სკოლაში არსებული ყველანაირი რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლის თუ მასწავლებლისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა, დანართის სახით გადმოგზავნილია, რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური ბუნების დავალების ნიმუში, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. წლის დასაწყისში ძირითადი და დამატებითი რესურსები დამტკიცებულია კათედრის სხდომაზე. **რჩევა: სახელმწიფო ენის კათედრას აქვს გამოცდილება, თავად შექმნას სასწავლო ტესტები და საგანმანათლებლო რესურსები. სასურველია, ამ მიმართლებით განვითარება და კათედრაზე სასწავლო რესურსების საცავის შექმნა, რათა ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში.** **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, ძირითადი რესურსი არის სახელმძღვანელო, ასევე მითითებულია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ math.ge-ს რესურსებს, გეოგებრას, დესმოსს, ასევე თავად ქმნიან მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლა აღჭურვილია მრავალრფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულიმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მორგებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის განხილვის შესაბამისად. ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირით რესურსის გამოყენების შემდეგ, პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. რესურსების შერჩევა ხდება კათედრების დონეზე, სადაც მოწმდება მათი შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკთან და სასწავლო მიზნებთან. წარმოდგენილი კათედრის ოქმები ადასტურებს, რომ დამხმარე მასალები გადის წინასწარ რევიზიას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შინაარსობრივ გამართულობასა და ხარისხს. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ფარგლებში მასწავლებლები ერთმანეთთან ათანხმებენ იმ რესურსებს, რომლებიც გამოიყენება შემოქმედებითი ბუნების დავალებების შესრულებისას. წარმოდგენილი მატრიცები და კურიკულუმები ადასტურებს, რომ შერჩეული რესურსები ვალიდურია და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს უცხოური ენების სწავლა სწავლების ეფექტურობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებას. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ირჩევენ დამხმარე რესურსებს.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციიდან ჩანს რომ შერძეული გრიფირებული სახელმძღვანელოები ძირითადი რესურსია. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და მათ შორის ელექტრონული რესურსები, თვალსაჩინოებები, რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა განხილულია საგნობრივ კათედრებზე და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის შერჩეული რესურსები და თვალსაჩინოებები, რომელიც სწავლის დასაწყისში საგნობრივ კათედრებზე განიხილეს შეათანხმეს სკოლის ადმინისტრაციასთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. დავალებები აგებულია აღნიშნული რესურსების გამოყენებით, წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება სახელმწიფო ენის შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. კათედრის სხდომის ოქმში გაწერილია, რა მოთხოვნები უნდა გაითვალისწინონ მასწავლებლებმა, საგანმანათლებლო რესურსის შექმნისას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმში ჩაშენებული რესურსები შეთანხმებულია კათედრაზე და შერჩეულია ისეთი მიზნობრივი რესურსები, რომლებიც უკვე გამოიყენეს და ნახეს მათი ეფექტურობა, ისინი იყენებენ ისეთ დამხმარე რესურსებს, რომლების რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლა უზრუნველყოფს გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. სკოლა მიმართავს რესურსების შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში საგნობრივი ჯგუფები ერთობლივად უზრუნველყოფენ იმ მასალების არჩევას, რომლებიც ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ხელს უწყობს

	შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. ძირითადი და დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის სამუშაო შეხვედრაზე წლის დასაწყისში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არის სივრცე/ოთახი გამოყოფილი საბუნებისმეტყველო მეცნიერების კაბინეტისთვის ვიზიტის პერიოდში აღნიშნული კაბინეტი არ იყო აღჭურვილი შესაბამისი ლაბორატორიული ინფრასტრუქტურით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის საფუძველზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აუცილებელი ინვენტარით, რესურსებითა და საშუალებებით აღიჭურვება პერიოდი 2026 წლის აპრილი-დეკემბერი. სკოლის პოზიცია ექსპერტების მიერ იქნა გაზიარებული და ინდიკატორი (საბაზო და საშუალო საფეხურებზე) შეფასდა როგორც მეტწილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია მეტწილად.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში , 2026 წლის აპრილი-დეკემბერი უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევა სკოლაში განსაზღვრულია საჭირო მატერიალური რესურსებით (ტექნიკა, ინვენტარი და ა.შ.) რაც შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს. საჭირო

	რესურსები ნაწილდება მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მათ თანაბარ ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად სკოლაში ყველა მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოსწავლისათვის. ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა სრულყოფილად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის** სკოლის მიერ წარმოგდენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ ორივე საგანში სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, რომელიც მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებითაა უზრუნველყოფილი. სკოლაში არსებული რესურსი ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისათვის სხვადასხვა ღონისძიებები, პროექტების, კონკურსებისა თუ სპორტული შეჯიბრებების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე, რესურსებს ,რომლებიც აქვთ შექმნილი ან შეძენილი, იყენებს სხვადასხვა მასწავლებელი. მათ აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლისთვის არის თანაბარი შესაძლებლობა, რომ ჩართული იყვნენ საგაკვეთილო პროცესში. გამოიკვეთა თანამშრომლობითი გარემო და იგრძნობოდა, რომ რესურსების, ასევე გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა დანერგილია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სასწავლო გარემო, მიუხედავად გარე სპორტული მოედნის არარსებობისა, აღჭურვილია სწავლა-სწავლების პროცესისთვის საჭირო საგანმანათლებლო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. ასევე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას,

	ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და უსაფრთხო, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით, სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში 28 პედაგოგია, მათგან უფროსი - 18, წამყვანი - 8, მენტორი - 1, სპეც. პედაგოგი - 1, ფსიქოლოგი-1, სსსმ მოსწავლის ასისტენტი-2, ბიბლიოთეკარი - 1, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი - 1, ექიმი-1, დამლაგებელი - 3, დარაჯი - 2, ცეცხლფარეში - 1, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;
- ხელშეკრულებები;
- კათედრების ოქმები;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- კურიკულუმები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კურიკულუმის მონიტორინგს უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე. მონიტორინგის შედეგები ასახულია სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში, კერძოდ დირექტორის ანგარიშში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. შესაბამისად სკოლას გააზრებული აქვს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით პრობლემების გამოვლენისა და მათი გადაჭრის გზების ძიების საჭიროება და აუცილებლობა. სწორედ პრობლემის

იდენტიფიცირების მიზნით ტარდება დიაგნოსტირება დაწყებით საფეხურზე. გამოვლენილი შედეგების საფუძველზე, სკოლა, პედაგოგები გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე პედაგოგები განიხილავენ ძირითად მიღწევებსა და პრობლემებს, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს სასწავლო პროცესისა და კურიკულუმის განსავითარებლად. სემესტრულად ჯამდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

პედაგოგებთან გასაუბრების საუძველზე იკვეთება, რომ სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით, მოსწავლეს კი მისცემს პიროვნული და აკადემიური უნარების გაუმჯობესების საშუალებას. სკოლა განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად, იყენებს განმავითარებელი შეფასების ზოგად და კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. აქტიურად გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი განმავითარებელი შეფასებები. სკოლამ საგნობრივი კურიკულუმთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც, მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. შეფასება მასწავლებლებს და მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა უნარების, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება, გამოვლენასა და განვითარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**
პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვან დავალებებს, მონაცემთა შეგროვების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**
შეფასების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და ფსიქო - ემოციური თავისებურებები. სკოლა შეფასების დროს, ასევე ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მზაობას ინტერესებს და საჭიროებებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ანგარიში;
- კათედრის ანგარიში;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

პედაგოგები, დირექტორის მოადგილე, წლის განმავლობაში ორჯერ, აკეთებს განხორციელებული კურიკულუმის რევიზიასა და ანალიზს. ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საკითხები ყოველთვის გათვალისწინებულია ახალი სასწავლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლაში მასწავლებლები კურიკულუმის შედგენის დროს აქტიურად თანამშრომლობენ. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 03.05.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: